სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 14 დეკემბერი 2000 №241 (1263) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატიონი 129
თედიაშვილი 37

ჯანო ბაგრატიონმა ოლიმპიური ტახტი კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნა



გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე პრეზიდენტმა პრეზიდენტობის მაძიებელს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, სახელოვან ფალავანს, ლევან თედიაშვილს ხმათა უმრავლესობით აჯობა და ქართული ოლიმპიზმის მესაჭეობა კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნა. ბარემ აქვე ვთქვათ, სეოკ-ის სათავეში მოსვლა არჩილ გოგელიასა და ბეჟან ხურციძესაც სურდათ, მაგრამ მათ თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს და დელეგატებს სწორედ ბაგრატიონსა და თედიაშვილს შორის მოუწიათ არჩევანის გაკეთებამ. თუმცა ეს ყველაფერი ხუთ საათამდე გაწელილი სესიის ბოლო ნაწილი იყო, უფრო საინტერესო და, ამავე დროს, სალაღობო ამბები მანამდე მოხდა. ჰოდა, ჩვენც „შერატონ მეტეხში“ გადავინაცვლოთ სადაც თავშეყრის გამძღოლმა, სეოკ-ის აღმასკომის წევრმა, სპორტის აკადემიის რექტორმა ომარ გოგიაშვილმა სესია გახსნილად გამოაცხადა და დელეგატებს მშვიდი და ნაყოფიერი მუშაობისკენ მოუწოდა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტაჟი სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიიდან და ინტერვიუ ჯანო ბაგრატიონთან იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდებზე

REUTERS მიუნხენიდან

REUTERS ლივერპულიდან

გუშინ ევროპაში: ლივერპულელმა მიკლ ოუენმა „ფულემ“ გაუტანა, ოტმარ ჰიცფელდის „ბაიერნმა“ კი „ჰაშურგი“ 2:1 დამარცხა. იხილეთ მეორე გვერდი

ალექსიძემ ფლო გაყიდა

რა უღირთ ჩელსელებს საახალწლოდ ცაში ახედვა

კოლხები: ტრანსფერზე, ალბენაში და მიუნხენში

რომან ახალკაცი ...ა გიორგი დავითნიძე ...ნხენ 1860“-ში ...ინჯებიან

ლივერპული VS რომა და კიდევ შვიდი

...უშინ ნიონში უეფას ...ასის მერვედფინალს ...ყარა წილი

ბოიკოტი

...ელგრადის „პარტიზანი“ ...უგოსლავიის ...ედერაციას გაებუტა

ფეხბურთელები და ტერორისტები

...ასკმა ტერორისტებმა ...ექსენტე ლიზარაზუს ...ევოლუციური ...ადასახადი შეაწერეს

იყვნენ დები, გახდნენ მტრები

...ორტინა ჰინგისი და ანა ...ურნიკოვა ეკრთმანეთს ...ანდალით დასცილდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

XVII ტური

ბოხუმი 3:2 ლევერკუზენი
1:0, 2:0 მარიჩი (40, 52პ), 2:1 კრისტენი (67), 3:1 მარიჩი (74პ), 3:2 ნოიფილი (76)

ბაიერნი 2:1 ჰამბურგი
0:1 ბარბარესი (28), 1:1, 2:1 ელბერი (64, 68)

ჰანზა 5:2 ვერდერი
1:0 ბაუმგარტი (9), 1:1 კრისტიჩი (38), 2:1 შრიოდერი (42), 3:1 ჯიბრანი (55), 3:2 პიზარო (75), 4:2 ბრანდი (79), 5:2 რადვანი (81)

კიოლნი 0:0 დორტმუნდი

ჰერთა 2:4 კაიზერსლაუტერნი
0:1 შტრასერი (21), 0:2 კლოსე (40), 1:2 დაისლერი (60), 2:2 პრეეცი (66), 2:3 კლოსე (70), 2:4 ჯორკაეფი (81)

კოტბუსი 2:3 მიუნხენ 1860
1:0 კობილანსკი (7), 2:0 მირიუტა (9), 2:1 პესლერი (54), 2:2 რისიტი (58), 2:3 ადოლფინო (67)

II ბუნდესლიგა. XVII ტური

ალემანია 4:3 ალენი
ფაინცი 0:1 ვალდჰოფი
ობერჰაუზენი 2:0 როიტლინგენი
ძევნიცი 0:3 მიონხენგლადბახი

ესპანეთი

თასის I ეტაპი

ალბასეტე (II) — ესპანიოლი 0:1; ალგეკირასი (III) — ესტრემადურა (II) 0:3დ.დ. (0:0); ატლეტიკო (II) — სალამანკა (II) 1:0; ავრორა ვიტორია (III) — ბილბაო 0:2; ბარაკალდო (III) — ნუმანსია 1:1 დ.დ. (0:0, 3:4პ); ბესაინი (III) — სოსიედადი 2:1; ბურგოსი (III) — რასინგი 0:2; კუუტა (III) — მალაგა 3:2; კომპოსტელა (II) — ხეტაფე (II) 3:0; კორდობა (II) — ბადაჰოსი (II) 0:2დ.დ. (0:0); ეიბარი (II) — სარაგოსა 0:1; ესპიდი (IV) — გუადი

ალექსიძემ ფლო გაყიდა

რა ულირთ ჩელსელებს საახალწლოდ ცაში ახედვა

ერთმა ქართველმაც ითამაშა პრემიერლიგაში, მეოთხემ.

უკვე თითქმის წელიწადია, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი რატი ალექსიძე ევროპის ერთ-ერთ სახელოვან გუნდში, ინგლისურ „ჩელსში“ გადაბარგდა და იქაურ ლიგაში პირველად წინა შაბათს გამოჩნდა, თუმც იქამდე „ჩელსის“ მაისურა უეფას თასის თამაშში „სენტ გალენის“ წინააღმდეგაც მოერგო. მაშინდელ მატჩში რატიმ შემცვლელად ითამაშა და თანაგუნდეალთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იგი შაბათსაც სათადარიგო გახლდათ და „სტამფორდ ბრიჯზე“ სულ შვიდი წუთი დაჰყო „დერბის“ წინააღმდეგ. ინგლისელი ჟურნალისტ-სპეციალისტისათვის ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა ჩვენებურის თამაშის შესაფასებლად. ისე კი, რატი ალექსიძემ შვიდ წუთშიც მოასწრო ერთხელ თავის გამოჩენა, მეკარე მარტ პოომს ისეთი დაურტყა...



„ჩელსის“ და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი რატი ალექსიძე (№8)

— ნაღდი, უეჭველი გოლი მეგონა, გამიხარდა, მაგრამ ბედი არ გინდა, მეკარემ ჩემი დარტყმული ბურთი რაღაც სასწაულებრივად მოიგერია — გვითხრა რატი ალექსიძემ, როცა ლონდონში შევეხმიანეთ და ეს ინტერვიუ ვთხოვეთ — არადა, თუ მწვრთნელი „დერბისთან“ მათამაშებდა არც ველოდი. 10 დღე არ მევარჯიშა, წელი მტკიოდა და ვისვენებდი. თამაშამდე გუნდთან ერთად მომზადება ოთხი დღის დაწყებული მქონდა და „დერბიმდე“ წია დღეს რანიერმა თავისთანმიხმო. მითხრა, განაცხადში იქნები, სამ-ოთხ წუთს გათამაშებ, ვიცი, მთლად კარგ ფორმაში არ ხარ, მაგრამ შენთვისაც და გუნდისთვისაც ასე სჯობსო. მეც რაღა დამრჩენოდა, მწვრთნელი ასეთ რამეს მეუბნება და სულ რომ მოუმზადებელი ვიყო, უარი როგორ ვუთხრა-მეთქი, გავიფიქრე და თავი დავუკარი. ასეთი შანსი მომეცა და აბა, ხელიდან როგორ გამეშვა? ბევრ ქართველს თამაშია პრემიერლიგაში?

— მერე და... ძალიან გაგიჭირდა?

— ძალიან ძნელია პრემიერლიგაში. თამაშისას ბურთი არ ჩერდება, სულ ფიქრაობ, ამოსუნთქვის საშუალება არ აქვს, თუმც არა უშავს, ალბათ, ყველაფერი კარგად იქნება. „დერბის“ წინააღმდეგაც, დებიუტის კვალობაზე, ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია. იმ მომენტის გარდა ერთიც დამამახსოვრდა — დალა ბონას მოკლე პასი რომ მოეცა, პოომთან პირისპირ დავრჩებოდი და გავიტანდი კიდეც, მაგრამ მან ნამეტანი მოინდომა და შეტევაც ჩაგვეშალა. ერთხელაც ძოლას გავყავდი მეკარესთან ერთი-ერთზე, მცველს რომ არ ჩაეჭრა მისი პასი.

— რანიერის თუ ესაუბრე ნამატჩევს?

— არა. შემოვიდა გასახდელში, მადლობელი ვარ კარგი თამაშისთვისო, გვითხრა მთელ გუნდს და გავიდა. ეგ იყო რანიერის თანაშემწემ ერთი-ორი კომპლიმენტი მითხრა, ყველა მეკარე ვერ აიღებდა ისეთ დარტყმულსო.

— ორჯერ ლამის პირისპირ დარჩი მეკარესთან, ერთხელ კინაღამ გაიტანე, თავდამსხმელად გათამაშეს?

— წინწაწეულ მარჯვენა ნახევარმცველად, ოღონდ ბურთს როგორც კი მიიღებ, შუისკენ შეიწიე, ან პასი გააკეთე, ანაც კარში დაარტყიო, ასე დამარიგა მოედანზე რომ გავდიოდი რანიერიმ.

— რეგულარულად როდიდან გათამაშებო, არ უთქვამს?

— ვერაფერს ვიტყვი. ნელ-ნელა უკვე გამაშინაურა და რა ვიცი, ალბათ, ამ სეზონში კიდევ რამდენჯერმე მათამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშებისას მე თავს არ ვზოგავ. მონდომებული ვარ და ამას, მგონი თვითონ მწვრთნელიც ამჩნევს. მას ფეხბურთი საუცხოოდ ესმის, საკმაოდ ნორმალური პიროვნებაც არის.

— ორშაბათს ითამაშე სარეზერვო გუნდში?

— კი, ვითამაშე, „საუთჰემპტონთან“, მაგრამ შაბათს ვინც „დერბი“ დაამარცხა, იმ ფეხბურთელთაგან ყველა შეგვცვალეს, დიდად დაიტვირთეთო, გვითხრეს.

— მოედანზე პარტნიორებს კარგად შეეწყვე?

— ძალიან. ყველა ცდილობს, გათამაშოს, შესაძლებლობები ბოლომდე გამოგავლინებინოს. აქ არ არის შური და ბოღმა, არიქა პირველად ითამაშა და ვაი თუ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი წაგვართვასო. განსაკუთრებით ყურადღებიანები ვეტერანები არიან — ძოლა, პოიეტი, გამხნევებენ, გაკეთებულს გიწონებენ.

— გუნდში ვისთან მეგობრობ?

— ჩემს ტოლებთან — გუდიონსენთან, მორისთან, დალა ბონასთან, კარგი ბიჭები არიან.

— რანიერიმ ინგლისური რომ არ იცოდა, ისწავლა?

— ამტერევს ინგლისურად, ნელ-ნელა სწავლობს. ხშირად კი ძველებურადაა, პოიეტი და დესაი გვითარგმნიან მის ნათქვამს.

— ადრე „ჩელსიდან“ შენს განათხოვრებაზე იყო ლაპარაკი. მოსალოდნელია დროებით სხვა გუნდში გაგიშვან?

— არა მგონია. ამას წინათ რაინერის თანაშემწის ინტერვიუ წავიკითხე ერთ-ერთ აქაურ გაზეთში. მას ეკითხებიან ფლო „რეინჯერსში“ რატომ გაყიდეთო. იმიტომ, რომ ახალგაზრდები ვათამაშოთ, მაგალითად, ალექსიძეო, იყო თანაშემწის პასუხი. ჰოდა, ასეთი რამ წავიკითხე და ახლა დავიჯერო სადმე გამანათხოვრებენ? რაღაც ვეჭვობ.

— „ჩელსისთვის“ პრემიერლიგაში მე-11 ადგილი ცოტა უჩვეულოა. რისი ბრალია?

— უახლოეს მომავალში ყველაფერი გამოსწორდება. რანიერიმ თქვა, გუნდი ჯგუფებად არის დაყოფილი, ერთიანობა არ იგრძნობაო და ამის წამალიც გამონახა. ერთხელ მთელი გუნდი თეატრში წავიყვანა, მერე რესტორანში ვიყავით, ახლა რას მოიფიქრებს არ ვიცი. ისე კი, ახალ წელს ფეხბურთელებს ხალხში გამოჩენა აგვიკრძალა.

— რატომ?

— ეგ მან იცის. კრებაზე გამოგვიცხადა, 31 და 1 იანვარს რომელიმე თქვენგანი ქუჩაში რომ გავიდეს, ჩათვალოს, ორი კვირის ხელფასი დაექვითა, გუნდი კი ერთი კვირა ბაზაზე ჩაიკეტებაო.

— თქვენ რა უპასუხეთ?

— დესაიმ იკითხა, მაშხალების ნახვაც არ შეიძლებაო? პოიეტმა კი უპასუხა, რა გემაშხალება, კაცი ორი კვირის ხელფასს გიქვითავს. ორი დღე მოითმინე, იმ ნახევარი თვის ფულით წადი, მთელი არსენალი იყიდე და მერე რამდენიც გინდა, დააჭექეო. პოიეტმა ეს რომ თქვა, გემრიელად გადავიხარხარეთ.

ძოგა ინასარიძე

★★★

გიორგი ქინქლაძის დებიუტი

„მანჩესტერ სიტი“ — „ტოტენჰემ ჰოთსფური“ 1:1

გიორგი ქინქლაძის დებიუტი ინგლისის პრემიერლიგაში მეტად წარმატებული გამოდგა. მისი „მანჩესტერ სიტი“ ჩემპიონატის პირველ მატჩში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ თავდაგ აგებდა. სტუმართაგან გოლი, რომელიც „სიტის“ მწვრთნელის ალან ბოლის თქმით, უეჭველი თამაშგარედან გავიდა, შერინგემმა შეაგდო, მაგრამ მეორე ტაიმის მეშვიდე წუთზე გერმანელმა უვე როსლერმა გაქვითა — 41. ბოლმა მატჩამდე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ახალი ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე არის ერთად ყველებული მეტიუზი, ბესტი და ლეტი

ნუგზარ ბარბაქაძის ფოტო

სფფ-ის აღმასკომის მეცხრე სხდომასაც საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა უმასპინძლა

აღმასკომი წლევანდელზე მომავალ წელს იმსჯელებს

წლევანდელი საფეხბურთო სეზონი დასრულდა, ავად თუ კარგად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართული ყველა ტურნირი (უმაღლესი, პირველი, რეგიონული ლიგები და თასის გათამაშება) ჩამთავრდა და რა გასაკვირია, რომ ყოველივეს შეფასება სჭირდება თავად ფედერაციის მხრიდანაც, მით უფრო, რომ წლევანდელი საფეხბურთო სეზონი მეტ-ნაკლებად დატვირთული იყო ჩვენი სხვადასხვა რანგის ნაკრებებისთვისაც. ამიტომაც სფფ-ის გადაწყვეტილებით, 22 დეკემბერს, დღის 12 საათიდან, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის რიგით მეათე სხდომა გაიმართება.

აღმასკომის დღის წესრიგი ერთობ დატვირთულია და ექვს საკითხს მოიცავს. ჩვენ კი მის მცირე ანონსს გთავაზობთ.

1. *მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადების შესახებ.*

ამ თემაზე დაწვრილებით ეროვნული ნაკრების თავკაცები — რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა ისაუბრებენ.

მწვრთნელთა ტანდემს შეუძლია, მშვიდად იყოს, ეროვნულ ნაკრებს წლეულს თავი არ შეურცხვენია, მეტიც, შთამბეჭდავი თამაშით ბევრს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის იმედიც გაუღვივა. რაც შეეხება მურთაზ ხურცილავას, მას გვარიანი თავის მართლება მოუწევს, რადგან ახალგაზრდულმა ნაკრებმა საკმაოდ უსუსურად ჩაატარა ბოლო საკონტროლო მატჩები და, რაც მთავარია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საწყის ორ შეხვედრაშიც დამარცხდა, რითაც ფაქტობრივად ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი დაკარგა.

2. *საქართველოს თექვსმეტ და თვრამეტწლამდელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში გამოსვლის შესახებ.*

ამ რანგის გუნდებშიც ვერ გვაქვს სახარბიელოდ საქმე, ორივე ნაკრები საევროპოდ უსაქმოდ დარჩა. ძნელი სათქმელია, მომხდარს რა შეფასებას მიცემენ. ერთი კია, ამ საკითხზე მოხსენება სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ ითავა და სწორედ იგი წარდგება ერთგვარი ანგარიშით აღმასკომზე.

3. *უეფას მოთხოვნების მიხედვით კლუბების ლიცენზირების შესახებ.*

ამ სიახლეზე „სარბიელის“ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა აქვს. უეფასთვის მის ოჯახში შემავალი თითოეული წევრი განურჩეველია და, ბუნებრივია, მიღებული წეს-კანონი ყველასთვის ერთია. ამის თქმა იმიტომ დაგვჭირდა, რომ სიახლე კლუბის ლიცენზირების შესახებ ჩვენნაირი გაუბედურებული ქვეყნის გუნდისთვის საგრძნობლად მტკივნეული პროცესია, მაგრამ წესი წესია და უეფას თითოეული მოთხოვნა შესასრულებელია. კლუბმა რომ ლიცენზია მიიღოს, გარკვეული ეტაპი უნდა გაიაროს და რამდენიმე პირობა შეასრულოს. თავისთავად ეს სიახლე მეტად აუცილებელი და საჭირო რამ არის ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ მტკივნეულია იმიტომ, რომ სოლიდურ თანხებს უკავშირდება, ფულთან კი ჩვენში ერთეულების გარდა ყველა კლუბი მწყრალადაა. ასეა თუ ისე, დაწვრილებით ამ საკითხის ირგვლივ აღმასკომზე სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი გია ისიანი ისაუბრებს.

4. *საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საეპელაციო კომიტეტის თავმჯდომარის დამტკიცების შესახებ.*

მოგეხსენებათ, სფფ-ის საეპელაციო კომიტეტს გარდაცვალებამდე თენგიზ ნამიჭეიშვილი ხელმძღვანელობდა. როგორც სფფ-ში გვითხრეს, ამ თანამდებობისთვის კანდიდატურა შერჩეულია და აღმასკომზე სწორედ მას დამტკიცებენ. რაც შეეხება კანდიდატურის ვინაობას, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია (ისევე, როგორც სფფ-ში დარჩენილთათვის), თუ ვინ ჰყავთ შეგულებული საეპელაციო კომიტეტის მესაჭედ. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია დღეისთვის უცხოეთში (სამწუხაროდ, ქვეყანაც უცნობია) იმყოფება საქმიანი ვიზიტით.

5. *საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის 2000-2001 წლის მუშაობის გეგმის დამტკიცების შესახებ.*

ამასთან დაკავშირებით ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. რა გეგმა აქვს სფფ-ს შემუშავებული, ამის შესახებ აღმასკომზე დაწვრილებით ფედერაციის პრესატაშე მამუკა კვარაცხელია ისაუბრებს.

6. *სხვადასხვა.*

მეტად ზოგადი თემაა და სურვილისა და მონდომების შემთხვევაში დაძაბული და საინტერესო უნდა გამოდგეს. წლეულს არაერთი სკანდალი მოხდა ქართულ ფეხბურთში, დაწყებული „დინამოს“ პრეზიდენტის დაპატიმრებით, იმავე „დინამოს“ და ეროვნული სტადიონის თავმოუბმელი პრობლემებით გაგრძელებული და მსაჯებზე ნადირობით დამთავრებული. მოკლედ, „სხვადასხვას“ საქმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სცენარით წარიმართება აღმასკომის სხდომა. ყოველ შემთხვევაში, სასაუბრო და გასარჩევი ბევრი რამ არის.

აღმასკომის დღის წესრიგში თავდაპირველად ერთი საკითხიც იდგა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფინანსური საქმიანობის ანალიზი. მასზე მოხსენება სარევიზიო კომიტეტის თავმჯდომარეს, ვახტანგ ასათიანს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან ამოღებულია. მიზეზი ის გახლავთ, რომ ათასწლეული კი იწურება, მაგრამ, ვახტანგ ასათიანის თქმით, კალენდარული წელი არ დასრულებულა და სფფ-ის ფინანსურ საქმიანობაზე ანალიზის გაკეთება აღმასკომს ახალ ათასწლეულში მოუწევს.

დაბოლოს, წლეულს არის დაგეგმილი საქართველოს თასის ნახევარფინალური ეტაპის კენჭისყრაც. არ არის გამორიცხული, ეს პროცესი აღმასკომს დაემთხვეს. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზი კენჭისყრის ერთფეროვან ცერემონიალებს შეჩვეულია.

პაატა ძვანტალიანი

კოლხები: ტრანსფერზე, ალბენაში და მიუნხენში

სოსო ფილია

— **გუნდიდან** ფეხბურთელების გაშვება-მოყვანას მე ვწყვეტ, ეს ჩემი ფუნქციაა და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ — გვითხრა გუშინ ფოთის „კოლხეთის“ მწვრთნელმა სოსო ფილიამ, ტელეფონით რომ დავუკავშირდით.

რა იგულისხმა ფილიამ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. მწვრთნელი დანიშვნისთანავე აცხადებდა, „კოლხეთში“ რეფორმები აუცილებლად იქნება, ვინც ჩემს მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, გუნდს დატოვებს, ცხადია, სასურველ მოთამაშეებსაც შევიმატებთო.

აქამდე ვეჭვობდით, შესაძლოა უბერებელმა თამაზ კიკლიაშვილმა კარიერა დაასრულოსო. ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა. თამაზს ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება მტკიცედ გადაუწყვეტია. ხოლო რატომ არ ჩანდა „კოლხეთის“ ბოლო მატჩებში კიკლიაშვილი, ასე აგვიხსნეს: ბავშვი ჰყავდა ძალიან ავად და რა ეფეხბურთებოდაო.

რაც შეეხებათ სხვებს, ფილიამ ასე გადაწყვიტა — მცველი ლაშა ფრანგიშვილი სავარაუდოდ ისევ წყალტუბოს „სამეურალს“ დაუბრუნდება. დავით ხუჭუას, ამირან კედელაშვილს, ირაკლი მაღლაკელიძეს, გაგა და ბექა ჩიტაიებს კი ტრანსფერზე დააყენებენ.

— დიახ, ეს ფეხბურთელები თავადვე დავაყენე ტრანსფერზე. ჯერ არ გადაგვიწყვეტია, მაგრამ ძალიან მინდა, მოვიწვიო შალვა მუმლაძე სამტრედიის „იბერიიდან“, ჰამლეტ წივწიაძე ბოლნისის „სიონიდან“. „ტორპედოსთან“ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ჩვენი განათხოვრებული ფეხბურთელის, ჯონი შალამბერიძის დაბრუნების თაობაზე. დავით ყიფიანს უკვე ველაპარაკე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ტორპედო“ თავად აპირებს გაძლიერებას, რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას და შესაძლებელია, 2-3 ტორპედოელიც განათხოვრებით შემოგვემატოს. ის კი ნაღდია, მცველი მიხეილ ქობულაძე და მეკარე ზურაბ ქვაჩახია ჩვენთან ითამაშებენ. ეს ბიჭები, რაც „ბათუმიდან“ გამოუშვეს, ჩვენთან ვარჯიშობენ. გარდა ამისა, ჩვენი ფარმკლუბიდან ხუთ ფეხბურთელს ავიყვანთ და შეკრებაზეც ვიახლებთ. პაატა ბაჩილავა, დავით ნარსია, რემი ჩხენკელი, ვაჟა ყურაშვილი და ლევან აკობია მთელ მოსამზადებელ პერიოდს ჩემი მეთვალყურეობით გაივლიან.

შეკრება ვახსენეთ და ბარემ ზღვისპირელთა გეგმებზეც ვთქვათ, თუმცა მანამდე ერთ საყურადღებო ამბავსაც გეტყვით, როგორც ფილიამ წუხელ გვაცნობა, მცველი გიორგი დავითნიძე და თავდამსხმელი რომან ახალკაცი აღარ, უკვე თითქმის ერთი კვირაა, გერმანიაში იმყოფებიან. კოლხები ბუნდესლიგის „მიუნხენ 1860“-ს მიუწვევიან გასასინჯად. პირადი კონტაქტების წყალობით მოხერხდა მათი გამგზავრება. 17 დეკემბერს აპირებენ ჩამოსვლას და პასუხსაც მაშინ გეტყვითო.

ახლა კი გეგმებზეც. ჩემპიონატში შესვლენებაა გამოცხადებული. სოსო ფილია ამაც ფეხბურთელები 20 დეკემბრამდე სახლებში გაუშვა. მერე ათ დღეს ოჯახებს ეწვიშებენ და 5 იანვრამდე საახალწლო არდადეგებზე გაეშურებიან. დათმეტ დღეს კვლავ ფოთში შეიკრიბებიან და ვარჯიშიც დაიწყება, რომელიც სამ კვირას გასტანს. მწვრთნელის თქმით, „კოლხეთი“ მზადების მეორე ეტაპს უეცლად ეთში გაივლის, ნაცნობ ბულგარეთში. ოღონდ ნესტრის ნაცვლად ალბენგაში. იქ ბუნდი ტრადიციულ ყოველწლიურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, მერე ისევ ფოთში დაბრუნდება, ამსობაში ჩემპიონატიც განახლდება.

რაც შეეხება ბოლო დროს გახმაურებულ ამბავს, „კოლხეთი“ გაჩერებას აპირებს. შევეცდებით, ელისტის „ურალანში“ განათხოვრებული გიორგი ლეონიძის ოჯარის საფასური, რომელიც ყალმუხებს არ გადაუხდიათ, აუცილებლად მივიღოთ, ხოლო თუ აქედან აფერი გამოვიდა, უეფაში ვუჩივლებთ.

გიორგი ვაშაძე

სტუდენტური რეორგანიზაცია მერაბ კოჭლაშვილი მაინც გალექტორდა

ბოლოსწინა ადგილი გათამაშების ცხრილში, არეული თამაში და ბურუსით მოსილი პერსპექტივა — ასე შეეგება თბილისური თსუ ზამთრის არდადეგებს. გავარდნამდე ერთი ნაბიჯია, ამან ძირეული ცვლილებებისკენ უბიძგა კლუბის თავკაცებს. გუშინ სტუდენტთა ბანაკი შეიკრიბა, დიდი კრება ჩატარდა და ამის შემდეგ შეგვიძლია, თამამად დავასკვნათ, გაზაფხულს ახალი თსუ შეეგებება.

ხელმძღვანელებმა ძირეული რეორგანიზაცია მოახდინეს. თსუ-ს ძველი შემადგენლობიდან გუნდს 5 ფეხბურთელიღა შემორჩა. რამდენიმე „ვიტ ჯორჯია“ გადავა, დანარჩენები კი... უგუნდოდ ალბათ არავინ დარჩება, ყველა თავის გუნდს ეწევა, მაგრამ ხუთი ფეხბურთელი ნახევარი გუნდია. საიდან მოიყვანს კლუბის ხელმძღვანელობა დანარჩენ მოთამაშეებს?!

კონტინგენტი „ვიტ ჯორჯია 2“-ის მოთამაშეებით შეივსება. თსუ-ს პარტნიორი გუნდიდან 8 ფეხბურთელი დაემატება.

სტუდენტთა თავკაცის ვინაობაც გაირკვა. მთავარი მწვრთნელის ფუნქციას მერაბ კოჭლაშვილი შეასრულებს. რადგან გუნდის ძირითადი ბირთვი კოჭლაშვილის გაწვრთნილი „ვიტ ჯორჯია 2“-დანაა, კლუბის თავკაცობამ მისი დანიშნება მიზანშეწონილად ჩათვალა.

გუნდის ადმინისტრაციის რეორგანიზაციული პროცესი არ შეხებია. ისინი ჩვეულებრივად გააგრძელებენ მუშაობას.

წამსვლელ-დამრჩენი მოთამაშეებისა და ახალშემატებულთა ვინაობას კლუბი უახლოეს მომავალში გამოაცხადებს, მანამდე კი არდადეგებია.

დათო დანელია

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი საშემოდგომო ეტაპი

№2 ტორპედო

ფეხბურთელი

არშემდგარი რეკორდი

ორიდან ერთი საუკეთესო

გასულ ჩემპიონატთან შედარებით კიდევ უფრო გაძლიერდა „ტორპედო“. ახალი ფეხბურთელები, მენეჯერი, სელექციონერები. ინდივიდუალური სკამებით გაკოხტავებული სტადიონი, თანამედროვე განათება, რემონტი ბაზაზე. ფინანსურად წელგამართული „ტორპედო“ ახალი საფეხბურთო სეზონისთვის სამზადისს შეუდგა.

ევროთასებზე თამაში ვერ გამოდგა წარმატებული. ქუთაისში „ცრვენა ზვეზდას“ ორბურთიანი უპირატესობით დამარცხება ჩემპიონთა ლიგისკენ სავალ გზაზე საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ოთხი ორზე მეტია, ხოლო პირველ გასვლით მატჩში სწორედ ოთხი უპასუხო ბურთით წააგო „ტორპედომ“.

მეთორმეტე ეროვნული კი მართლაც ჩემპიონურად დაიწყეს რიონისპირელებმა. ზედიზედ ათი გამარჯვება. შინ და გარეთ, ტოლ-სწორი მეტოქე არ ჰყოლია „ტორპედოს“. ამათგან ყველაზე ფასეული „დინამოსთან“ და „ლოკომოტივთან“ საგარეო გამარჯვებები გახლდათ.

დენთი ერთბაშად მერთერთმეტე ტურში გამოილია. არადა, „ტორპედოს“ შანსი ეძლეოდა, ეროვნული ჩემპიონატის რეკორდი დაემხო. თერთმეტ მატჩში თერთმეტი გამარჯვებისთვის ათგზის ჩემპიონ „დინამოსაც“ არ მიუღწევია. კერკეტი კაკალი გამოდგა „ვიტ ჯორჯია“, რეკორდის გამეორებასღა დაეჯერა ჩემპიონი.

ამის შემდეგ რიონისპირელებმა ინერციით ქულაც მიითვალეს ბოლნისში „სიონთან“ და ბომბამაც იფეთქა. ქუთაისში სტუმრად ჩასულმა „დინამომ“ ამი ქულა აართვა ჩემპიონს.

ბათუმში გამარჯვებული ფოთში დაჩაგვრინა „კოლხეთს“, მერე ვერ წააქცია „ლოკომოტივი“ და საშემოდგომო ეტაპზე ძირითადად პირველი, საბოლოოდ მეორეობას დასჯერდა.

„ტორპედო“ თამაშობდა შემტევ ფეხბურთს, არც ერთ თამაშში არ ჩამდარა ყრუ დაცვაში, ქმნიდა უამრავ საგოლე მომენტს, თუმც რეალიზაციის პროცენტი საკმაოდ დაბალი იყო. არადა, ქუთაისელებს ჰყავთ მეთერთმეტე ეროვნულის ბომბარდირი ზურაბ იონანიძე, ანამოცდილი და სწრაფი ფორვარდი დავით ჯანაშია. არ დავივიწყოთ ახალგაზრდა, ნიჭიერი, ათლეტური თავდამსმელი გიორგი იმედაძე და მიხეილ ბოლოხიძე.

ნახევარდაცვაში გამოცდილები და ახალგაზრდები ერთად შრომობდნენ. კახა კვეტენაძე, გია ჩხაიძე, ვალტერ გუჩუა, მალხაზ ასათიანი, კახაბერ ჩხეტიანი. ბოლო ტურებში თავი გამოიჩინა გიორგი გაბიდაურმაც. ამპლუით მცველები არიან, მაგრამ რამდენიმე თამაშში ჯონი შალამბერიძე და ალექსანდრე შეყრილაძე ნახევარდაცვაში გამაწესა დავით ყიფიანმა.

შუა ხაზში ყველასგან მაინც ვალტერ გუჩუას გამოვარჩევდით. იგი მუდამ ფაზად იყო და თანაგუნდელთა თითქმის ყველა შეცდომასაც ასწორებდა. თავიდან კარგად დაიწყო კახა კვეტენაძემ, მაგრამ ბოლო ტურებში ასათიანს მეტად ენდობოდნენ მწვრთნელები.

მუდამ ძირითადში იყო მცველი ვახტანგ ხვადაგიანი. დაცვაში თითქმის ყველას ეძლეოდა დასვენების საშუალება, მხოლოდ მწყობრში მყოფი ტანმაღალი მცველი თამაშობდა ბოლომდე. თითქმის იგივე შეგვიძლია ვთქვათ მარჯვენაფლანგელ ბადრი აბვლედიანზეც.

ცენტრალურმა მცველმა ვახტანგ თურმანიძემ ბოლოსკენ სათადარიგოებში გადაინაცვლა ისევე როგორც მიხეილ მახვილაძემაც. დისკვალიფიკაციამოხდილი ზურაბ არჩვაძე გვიან შეუერთდა „ტორპედოს“. გაცილებით მეტი შეუძლია ჯონი შალამბერიძეს. მას თავი არც შეურცხვენია, მაგრამ სეზონის წინ გადატანილმა ავადმყოფობამ მაინც დაღი დაამჩნია მის თამაშს.

მეკარეებში თუ ვინმეს ასარჩევად ჰქონდა საქმე, „ტორპედო“ იყო. ირაკლი ზოიძე, გრიგოლ ჭანტურია და ნიკოლოზ ტოგონიძე. იქნებ შეცდომა იყო ერთ გუნდში სამი ძლიერი მეკარის ყოლა, მაგრამ მათ თავად ასე ისურვეს. ზოიძემ კონკურენციაში ყველას ავჯობა. საიმედოდ თამაშობდა და გუნდიც ბევრჯერ იხსნა გოლისგან.

„ტორპედომ“ პირველი გოლი მეხუთე ტურში გაუშვა. მეტოქეებმა მხოლოდ მეათე ტურში შეძლეს სტუმრად მოთამაშე რიონისპირელთა კარის დალაშქვრა.

ქუთაისელებმა პირველად მეცამეტე ტურში დატოვეს მოედანი უგოლოდ. სწორედ მაშინ დამარცხდენ პირველად და მეოთხე ტურიდან დასაკუთრებული პირველობა დათმეს. თითქოს წარმოუდგენელია „ტორპედოს“ მეორეობა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით.

ქუთაისური კლუბის სათამაშო სქემა არ ყოფილა ერთფეროვანი. ზოგჯერ სამი მცველით, ოთხი ნახევარმცველით და სამი თავდამსხმელით თამაშობდნენ ტორპედოელები, ხშირად 3-5-2-ს ირჩევდა მწვრთნელთა კორპუსი და არც 4-4-2 ყოფილა უცხო.

სულ 23 ფეხბურთელმა ითამაშა საშემოდგომო ეტაპზე. ვინ იყო მათგან საუკეთესო? არჩევანი ორია, ზურაბ იონანიძე და ვალტერ გუჩუა. ალალი იქნებოდა, გუჩუაზე გვეთქვა, საუკეთესოაო, მაგრამ გუნდის შედეგს ზურაბ იონანიძე აკეთებდა. თითქმის ყველა პრინციპული გოლი მანვე გაიტანა. თავდასხმაში შედეგიან გარჯას ზურაბი ნახევარდაცვაში ნაყოფიერ თამაშსაც უთავსებდა. ამიტომაც ვაღიარებთ საშემოდგომო ეტაპის „ტორპედოს“ ლიდერად.

თექვსმეტი ტორპედოელი 28-ჯერ მოხვდა სარბიელისეულ ტურის სიმბოლურ ნაკრებში, ამათგან ყველაზე მეტჯერ გუჩუა იყო რჩეული.

ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა „ტორპედომ“. მესამეა მეტოქის კარის დალაშქვრაში. შედეგიანობას თავისი დაფეხბურთო ამბავში ისევ უბრალ ვართ, თორემ მისალმება და მოკითხვა ერთმანეთისთვის არც არასდროს დაგვიმადლებია. არ ვიცით, სანამდე გასტანს ასეთი დამოკიდებულება. იქამდე, სანამ ქუთაისურ სარბიელზე ჟურნალისტთა არშეშვების საკითხი გასჯის საგანი იქნება.

ადრეც არაერთხელ გვითქვამს, „ტორპედო“ წლეულსაც ჩემპიონობის რეალური კანდიდატია. საშემოდგომო ეტაპზე მეორეობა სულაც არაფერს ნიშნავს. ისევ გაძლიერებას აპირებს „ტორპედო“. ამას ნაყოფიერი შეკრება (თუ შეკრებები) მოჰყვება და გაზაფხულსაც ძლიერად დაიწყებენ ქუთაისელები. თასის ნახევარფინალი და თითქმის მთელი ჩემპიონატია წინ, საკმაოდ დამღლელი და დაძაბული მარათონი მოელის „ტორპედოს“.

მამუკა კვანტალიანი

ზურაბ იონანიძე (მარჯვნივ): საჭირო გოლების ოსტატი

ბადრი აბვლედიანის ფოტოები

მალხაზ ასათიანი (№22): საჭირო პასების ოსტატი

ტორპედო 2000-01

ტურის №	მეტოქე	ანგარიში		სად	მეგოლე
1	სიონი	1:0	შ		იონანიძე
2	დინამო	3:0	ს		იონანიძე, იმედაძე, კ. კვეტენაძე
3	ბათუმი	2:0	შ		იონანიძე, იმედაძე
4	ლოკომოტივი	1:0	ს		იონანიძე
5	კოლხეთი	2:1	შ		ჯანაშია 2
6	დილა	1:0	ს		შალამბერიძე
7	მერანი	2:1	შ		იონანიძე, იმედაძე
8	იბერია	3:0	ს		ჩხეტიანი, ახვლედიანი, გუჩუა
9	გორდა	2:0	შ		იონანიძე, ასათიანი
10	თსუ	1:0	ს		ასათიანი
11	ვიტ ჯორჯია	1:1	შ		იონანიძე
12	სიონი	1:1	ს		იმედაძე
13	დინამო	0:1	შ		
14	ბათუმი	3:0	ს		იონანიძე, ჯანაშია, ჩხეტიანი
15	ლოკომოტივი	0:0	შ		
16	კოლხეთი	0:1	ს		
17	დილა	5:0	შ		გაბიდაური 2, ჯანაშია 2, ჩხეტიანი

	სახელი გვარი	თამაში	გოლი	გაცვლილება	გაძევება	სიმყარეები
	მალხაზ ასათიანი	17	2	1	0	2
	ზურაბ იონანიძე	17	9	2	0	3
	ვახტანგ ხვადაგიანი	17	0	2	0	1
	ბადრი ახვლედიანი	16	1	2	0	2
	ირაკლი ზოიძე	16	-6	0	0	2
	კახა კვეტენაძე	16	1	1	0	1
	გია იმედაძე	15	4	1	0	2
	ვალტერ გუჩუა	14	1	4	0	6
	კახა ჩხეტიანი	14	2	0	0	1
	მიხეილ მახვილაძე	12	0	1	0	1
	ჯონი შალამბერიძე	10	1	0	0	2
	გია ჩხაიძე	10	0	1	0	1
	დავით ჯანაშია	10	5	3	0	1
	ვახტანგ თურმანიძე	9	0	0	0	2
	ალეკო შეყრილაძე	8	0	0	0	0
	მიხეილ ბობოხიძე	7	0	0	0	0
	ზურაბ არჩვაძე	5	0	2	0	1
	გიორგი გაბიდაური	5	2	0	0	1
	ჯაბა თავბერიძე	3	0	0	1	0
	რევაზ კვირნაძე	3	0	1	0	0
	ზაზა ვაჩიბერაძე	2	0	0	0	0
	გია ჭანტურია	2	2	0	1	0
	ზურაბ ძამსაშვილი	1	0	1	0	0

საუკეთესო მოთამაშე

ზურაბ იონანიძე

02.12.71

1990	სამგურალი	A	19	1
1991	სამგურალი	A	13	3
91-92	სამგურალი	A	35	11
92-93	ტორპედო	A	29	14
93-94	სამტრედია	A	31	14
94-95	სამტრედია	A	25	12
95-96	სამტრედია	A	15	23
1996	ჟემჩუჟინა, რუსეთი	A	24	7
	ჟემჩუჟინა 2, რუსეთი	D	1	2
1997	ნ.ნოვგოროდი, რუსეთი	A	7	1
97-98	ტორპედო	A	10	3
98-99	ტორპედო	A	24	16
99-00	ტორპედო	A	27	25
00-01	ტორპედო	A	17	9



უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ლოკომოტივი	17	14	1	2	32:7	25	43	8	7	0	1	19:3	16	21	9	7	1	1	13:4	9	22
2 ტორპედო	17	12	3	2	28:6	22	39	9	6	2	1	15:4	11	20	8	6	1	1	13:2	11	19
3 დინამო	17	12	1	4	43:17	26	37	9	7	0	2	28:7	21	21	8	5	1	2	15:10	5	16
4 ვიტ ჯორჯია	17	9	5	3	26:12	14	32	8	6	0	2	11:2	9	18	9	3	5	1	15:10	5	14
5 კოლხეთი	17	8	3	6	19:14	5	27	8	5	2	1	8:4	4	17	9	3	1	5	11:10	1	10
6 მერანი	17	6	6	5	17:17	0	24	8	4	4	0	10:4	6	16	9	2	2	5	7:13	-6	8
7 ბათუმი	17	6	3	8	22:24	-2	21	9	5	1	3	17:12	5	16	8	1	2	5	5:12	-7	5
8 სიონი	17	4	4	9	12:27	-15	16	9	2	3	4	8:12	-4	9	8	2	1	5	4:15	-11	7
9 გორდა	17	3	7	7	13:22	-9	16	9	3	4	2	11:7	4	13	8	0	3	5	2:15	-13	3
10 დილა	17	4	3	10	13:32	-19	15	8	3	2	3	11:12	-1	11	9	1	1	7	2:20	-18	4
11 თსუ	17	4	2	11	17:32	-15	14	9	2	1	6	7:15	-8	7	8	2	1	5	10:17	-7	7
12 იბერია	17	0	2	15	3:35	-32	2	8	0	1	7	1:17	-16	1	9	0	1	8	2:18	-16	1

უეფას თასი. მერვეფინალი

I მატჩები — 2001 წლის 15 თებერვალს, II მატჩები — 22 თებერვალს

UEFA CUP

პორტუ (პორტუგალია)	–1–	ნანტი (საფრანგეთი)
აეკ (საბერძნეთი)	–2–	ბარსელონა (ესპანეთი)
შტუტგარტი (გერმანია)	–3–	სელტა (ესპანეთი)
ლივერპული (ინგლისი)	–4–	რომა (იტალია)
ალავესი (ესპანეთი)	–5–	ინტერი (იტალია)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)	–6–	პარმა (იტალია)
სლავია (ჩეხეთი)	–7–	კაიზერსლაუტერნი (გერმანია)
რაიო ვალეკანო (ესპანეთი)	–8–	ბორდო (საფრანგეთი)

უეფას თასი. მეოთხედფინალი

I მატჩები — 2001 წლის 8 მარტს, II მატჩები — 15 მარტს

UEFA CUP

7 წყვილის გამარჯვებული	—	6 წყვილის გამარჯვებული
2 წყვილის გამარჯვებული	—	3 წყვილის გამარჯვებული
5 წყვილის გამარჯვებული	—	8 წყვილის გამარჯვებული
1 წყვილის გამარჯვებული	—	4 წყვილის გამარჯვებული

სათებერვლო თექვსმეტგუნდაობა თექვსმეტი წლის წინანდელი ამბით

ჟერარ ულიე — ფაბიო კაპელო. „ლივერპული“ — „რომა“

გუშინ ნიონში უეფას თასის კენჭისყრაზე ორი გუნდის შეწყვილებამ ხალხს 16 წლის წინათ მომხდარი ამბავი გაახსენა. ეს იყო რომში, 1984 წლის 30 მაისს, ჩემპიონთა თასის ფინალში „ლივერპულმა“ 70 ათასი მაყურებლის თვალწინ „რომა“ დაჯაბნა და სანუკვარი ჯილდოც მიოპოვა. მართალია, შეხვედრის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, მაგრამ ინგლისელებმა პენალტების სერიაში 4:2 მოუგეს რომაელებს.

ისტორია მეორდება. „ლივერპული“ და „რომა“ ახლა უეფას თასის მერვედფინალში უნდა გაეჯიბრონ. პირველი მატჩი „ენფილდ როუდზე“ გაიმართება, სპასუხო კი ორი კვირის შემდეგ — „სტადიო ოლიმპიკოზე“.

ამ თამაშამდე ჯერ ორი თვეა, მანამდე ზამთარი უნდა გადავაგოროთ, ამიტომაც ამთავითვე პროგნოზების გაკეთება უსაფუძვლოა. გუნდების დღევანდელი მდგომარეობა სულაც არ ნიშნავს, რომ ზამთრის მიწურულს ისინი ასეთივე ფორმაში იქნებიან. ჯობს ამ დროისთვის ხელთ არსებულ უტყუარ ფაქტებზე ვილაპარაკოთ: „რომა“ სერია A-ს ლიდერი და სკუდეტოს მოპოვების რეალური კანდიდატია, რადგან ძლიერი შემადგენლობა, თავდასხმაში გაბრიელ ბატისტუტა და მწვრთნელად ფაბიო კაპელო ჰყავს. რომაელები ახლა კარგ ფორმაში არიან და არც გუნება-განწყობა დაეწუნებათ, უეფას თასის წინა ეტაპზე მათ „ჰამბურგი“ შემუსრეს.

„ლივერპული“ კი... დღეს სასაცილოა იმის თქმა, „ენფილდის“ ბინადარნი პრემიერლიგას მოიგებენო. ინგლისში 17 ტური მიილია და ჟერარ ულიე მისი ამალით ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 13 ქულით ჩამორჩება. ისე, სერ ალექსის გაწვრთნილ გუნდთან გაჯიბრება რა მოსატანია, როცა „იფსვიჩისთვის“ შინ ვერ მოუგია (წინა ტურში ამ კლუბთან 0:1 დამარცხდა).

ადვილი მისახვედრია, რომ ამ ეტაპზე „რომასთან“ შეყრა არავის სურდა. „ლივერპულის“ აღმასრულებელმა შეფმა რიკ ჰერიმ კენჭისყრის შემდეგ თქვა: „თუ „რომას“ ახლანდელ ფორმასა და პოტენციალს გავითვალისწინებთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ წინ ურთულესი ბარიერი გადაგვეღობა. დაძაბულ და წარმტაც ორთაბრძოლას მოველი. სიამაყით გავიხსენებ 1984 წლის ფინალს, როცა რომაელებს მათსავე სტადიონზე მოვუგეთ და ჩემპიონთა თასს დავეუფლეთ, მაგრამ ეს კარგა ხნის წინ მოხდა“.

იგივე ისტორიული მატჩი „რომას“ დირექტორმა ანტონიო დემპესტილიმ რომ გაიხსენა, იქვე დასძინა, წინა ორ სეზონში ორ ინგლისურ კლუბს — „ლიდსს“ და „ნიუკასლს“ უკვე შევხვდით, ახლა „ლივერპულთან“ გაჯიბრებაც არ იქნება ურიგო.

აქვე ვთქვათ, რომ მათ შორის მოგებული „პორტუსა“ და „ნანტის“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება. ორიოდ სიტყვით იმაზეც, რომ იტალიურ-ინგლისური დაპირისპირება ისე არ ჩაივლის, 1985 წელს „ეიზელზე“ დატრიალებული ტრაგედია არ გაიხსენონ. „იუვენტუსი“ — „ლივერპულის“ თამაშის წინ, ჩემპიონთა თასის ფინალში, ტრიბუნებზე დიდი აურზაური მოხდა და 39 ადამიანი დაიღუპა, უმეტესად იტალიელები.

სხვა საინტერესო წყვილებზეც: ამჟამად ჩინებულ ფორმაში მყოფ „პარმას“ წილად „პსვ ეინდჰოვენი“ ხვდა. ჰოლანდიელთა დირექტორმა, როგორც საზოგადოდ მიღებულია, წყვილის სიძლიერეზე ბევრი ისაუბრა, მეტოქესაც ხოტბა შეასხა და დასძინა: „რამდენიმე მოთამაშეს კარგად ვიცნობთ, მაგრამ თავად „პარმასთან“ არასდროს გვითამაშია, საინტერესო იქნება“.

იტალიურ-ესპანური წყვილი უეფას თასზე „ალავესის“ და „ინტერის“ სახითაა წარმოდგენილი. წარსულში დიდი იტალიელი ფეხბურთელი და ამჟამად მილანური კლუბის დირექტორი ჯაჩინტო ფაკეტი ამბობს: „ახლა „ალავესი“ ძლიერი გუნდია. რაკი მათ რიგებში გამოჩენილი ვარსკვლავი არ ირიცხება, ჩვენს გულშემატკივრებს არ ეგონოთ, რომ ყველაზე სასურველი მეტოქე შეგვხვდა. ამის ფიქრი, მით უმეტეს, ფეხბურთელებისთვის, საშიშია“.

საბერძნეთში სტუმრობა იოლი არ გეგონოთ. მართალია, „რომასთან“, „ლივერპულთან“, „პარმასთან“ ან „ინტერთან“ დაპირისპირებას აეკ-თან საქმის დაჭერა სჯობს, მაგრამ „ბარსელონას“ დიდი სიფრთხილე მართებს. სერა ფერერმა ემანდ ათენურ საფეხურზე არ წაიკრას ფეხი, თუ, რა თქმა უნდა, ორი თვის მერეც მწვრთნელი იქნება.

დანარჩენთაგან ერთიც გამოვარჩიოთ — გერმანულ-ესპანური დუელი, თუმცაღა ეს გუნდები შინაურ ჩემპიონატებში ახლა ვერაფრით დაიკვეხნიან. პრიმერადივიზიონის ცხრილის შუა ნაწილში მყოფი „სელტა“ ბუნდესლიგაში მასზე უარესად მოღვაწე „შტუტგარტს“ შეხვდება. მათ შორის გამარჯვებული კი „ბარსელონასთან“ ან აეკ-თან გაარკვევს ურთიერთობას.

ერთი ზამთარს გადავაგორებდეთ...

ნიკა ფუბლაძე

გერმანია

XVII ტური

ვოლფსბურგი 1:2 ფრაიბურგი

0:1 კელი (31), 0:2 კონდე (59), 1:2 იუსკოვიაკი (65)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილისკოვი, ჰენგენი, კრიგერი (რიშე 79), ბრაინერი (ვოსი 46), ნოვაკი (მიულერი 63), მუნტიანუ, აკონორი, ვაისერი, ტ. მარიჩი, იუსკოვიაკი

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

ფრაიბურგი: გოლეი, კონდე, კელი, დიარა, რამდანე, ა. ცაიერი, ბაია (შუმანი 90), ვ. ბუტი, ცეციტიშვილი, სელიმი (კულიბალი 73), იაშვილი (ვაისპაუტი 81)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: ვაისერი, მიულერი, იაშვილი, ბაია

11 889 მაყურებელი

უნტერჰახინგი 0:2 შალკე

0:1 სანდი (27), 0:2 ვან ჰუგდალემი (61)

უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, გრასოვი, ზაიფერტი, შტრაუბე, ბაბერი (გარსია 80), ციმერმანი (კოოგელი 53), ზვარიკი, ჰირში, რაკელი, ზედრილიჩი

მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კოისტნერი

შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდინი, ვან კერკჰოვენი, ლატალი (აიგერაუხი 87), ვან ჰუგდალემი, ალ-ჰუგანი, ბიუსკენსი, ბიომე (ნიკოლაიჩიკი 84), სანდი (ზულდერი 76), ასამოა

მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი

გაფრთხილება: გრასოვი, რაკელი, ასამოა

9 500 მაყურებელი

შტუტგარტი 4:1 აინტრახტი

1:0 მალიკოვიჩი (35ს.კ.), 1:1 გებჰარდტი (40), 2:1 სოლდო (60), 3:1 განია (76), 4:1 დანდი (84)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, თ. შნაიდერი, სოლდო, ბორდონი (ბლანკი 85), გერბერი, ბიტუ (ჯორჯევიჩი 82), ტიამი (ბაისნერი 72), ლისტეში, კაუფი, დანდი, განია

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

აინტრახტი: ჰაინენი (შ. შნიდტი 58), ბროისი, ხუბჩევი, მალიკოვიჩი, რასიეესკი (კრიფალოვიჩი 54), შური, ჰილდტი, ბრანკო, ლიოში (სობოტჩიკი 71), გებჰარდტი, რაიხენბერგერი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ლისტეში, შნაიდერი, ბრანკო, ლიოში, ხუბჩევი

19 000 მაყურებელი

„დამსახურებულად მოვიგეთ იმიტომ, რომ მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ. განსაკუთრებით პირველ ტაიმში მომეწონა ჩემი გუნდი, თუმც შექმნილი მომენტები უნდა გამოგვეყენებინა და მატჩის ბედი შესვენებამდე გადაგვეწყვიტა. ბოლოს ზეწოლის ქვეშ ვიყავით, მაგრამ გავძელით“ — ნასიამოვნები იყო მატჩის შემდეგ „ფრაიბურგის“ მწვრთნელი ფოლკერ ფინკე.

ფინკეს სამშაბათს საღამოს სიხარულის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა — „ფრაიბურგმა“ სტუმრად „ვოლფსბურგი“ დაამარცხა და ჩემპიონატში წაუგებელ მატჩთა სერია ხუთამდე გაზარდა, თასის ჩათვლით კი უკვე ექვსი თამაშია არ დამარცხებულა. ფრაიბურგელთა ამ წარმატებაში გუშინწინ ორმა ქართველმა შეიტანა წვლილი — ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტაშვილი მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში დაყენა. ლევან კობიაშვილი კი ტრავმის გამო არ იყო. შარშან კობიაშვილმა ბუნდესლიგაში სულ ერთი მატჩი გამოტოვა, ისიც ხუთი ყვითელი ბარათის გამო, ახლა კი ქართველ მცველ-ნახევარმცველს ჩემპიონატის მინიმუმ ორი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

„ვოლფსბურგთან“ კობიაშვილის ადგილი ცქიტაშვილმა დაიკავა. ლევანი მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, მაგრამ ფაქტობრივად მთელ ფრთას აკონტროლებდა. საბოლოოდ კარგადაც ითამაშა. იაშვილმა წინა ტურში, „ბოზუმთან“ გატანილ გოლებს ამჯერად ვერაფერი წაუმატა, თუმც ანგარიშის გახსნაში დიდი წვლილი შეიტანა. სწორედ მისი შესანიშნავი თამაშისა და პასის შემდეგ დაწინაურა სტუმრები კელმა, რომელსაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. ეს 31-ე წუთზე მოხდა. აქამდეც და ამის მერეც უპირატესობას „ფრაიბურგი“ ფლობდა. ბაიას, იაშვილს, სელიმისა და იმავე კელს კარგი მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ისე, ამის თქმა ბაიაზე არ შეიძლება, მისი დარტყმული ვოლფსბურგელმა მუნტიანუმ კარის ხაზიდან გამოიტანა. ასე მატჩის არბიტრმა განსაჯა, თორემ გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, ბურთს ხაზი გადაეკვეთა. „ვოლფსბურგის“ თავდასხმა პირველ ნახევარში ინერტული იყო, ეგებ აკპობორისა და კუჰბაუერის არყოფნის გამოც.

მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა. „ფრაიბურგმა“ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო დაიწყო ზრუნვა

შტუტგარტი — აინტრახტი 4:1. შტუტგარტელი თომას შნაიდერისა და აინტრახტელი მარკო გერჰარდტის (მარცხნივ) სიჰაერო დუელი

და... მეტოქის კარი შემოელაშქრა. 59-ე წუთზე ბუტის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კონდე შესწვდა და თავით სხვაობა გაზარდა, თუმცა სულ ექვსი წუთით, რადგან კონდეს არც პოლონელი იუსკოვიაკი ჩამორჩა და ვაისერის ჩაწოდებული ბურთი თავით შეაგდო. ამის მერე ყველა „ვოლფსბურგის“ შტურმზე გადასვლას ელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მასპინძელთა შეტევები უმეტესწილად საჯარიმოში ბურთის ჩაგდებით შემოიფარგლა, იქ კი გოლეი მეფობდა, მეკარე, რომელმაც ცოტა ხნის წინ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა.

„ვოლფსბურგი“ — „ფრაიბურგი“ რომ დაიწყო, „უნტერჰახინგი“ — „შალკე“ უკვე დასრულებულიყო. სტუმრებმა 2:0 მოიგეს და ვალიდერდნენ კიდეც, თუმც რამდენ ხანს გაგრძელდებოდა „შალკეს“ ცხრილის სათავეში ყოფნა, წუხანდელ მატჩებს უნდა გადაეწყვიტა.

„უნტერჰახინგი“ ფაქტობრივად თავიდანვე წასაგებად გაიწირა, რადგან ერთბაშად შვიდი ფეხბურთელი აკლდა. გელზენკირხენელებსაც მეტი რა უნდოდათ, მოედანს დაეპატრონენ და მეტოქე სულ თავის ჭუჭაზე ატარეს. ოღონდ სანამ ეს მოხდებოდა, „შალკე“ აშკარა გოლებს გადაურჩა, როცა ზედრილიჩის დარტყმული ჰაიტომ გამოიტანა. მერე იმავე ჰაიტოს საკუთარი კარისკენ აეჭრა ბურთი, მაგრამ რეკმა ივაჟკაცა, ბოლოს რაკლის ოდნავ აუცდა — ბურთი ძელმა მოიგერია. მერე კი „შალკე“ გონს მოეგო, მეტოქეს აქეთ შეუტია და 26-ე წუთზე გოლიც გაუტანა. დანიელმა ებე სანდმა ბიომეს ჯარიმიდან ჩაწოდებულს ადგილი კარგად შეურჩია და მიმდინარე სეზონში მეცამეტე ბურთი შეაგდო. ამას სტუმრებმა მეორე ტაიმში ერთიც დაამატეს — თავი ვან ჰუგდალემმა გამოიჩინა.

„შტუტგარტის“ თავკაცმა რალფ რანგნიკმა სამშაბათს ძალიან გაიხარა. ჰქონდა საამისო მიზეზი. მისმა შეგირდებმა 4 ნოემბრის შემდეგ პირველად მოიგეს. ფრანკფურტის „აინტრახტი“ გამარჯვებას დანატრებული შტუტგარტელებისთვის იოლი ლუკმა გამოდგა. „აინტრახტთან“ საშინაო შეხვედრაში მასპინძლებმა გუნდის ლიდერ კრასიმირ ბალაკოვის არყოფნა არ დაიტყვეს და მეტოქე შავ დღეში ჩააგდეს. „შტუტგარტმა“ ალეესილი კბილები შესვენების შემდეგ გამოაჩინა. მასპინძლებს არც მანამდე დაუკლიათ ხელი, პირველი ტაიმის შემდეგ, „შტუტგარტი“ შეგეცოდებოდათ — ცალკარა თამაში იყო და ტაბლოზე 1:1 ენთო.

ერთიანი ცხრილი

შალკე	17	10	3	4	35:17	[illegible]
ლევერკუზენი	16	9	4	3	26:16	[illegible]
დორტმუნდი	16	9	2	5	27:24	[illegible]
ჰერტა	16	9	1	6	34:27	[illegible]
ბაიერნი	16	8	3	5	32:18	[illegible]
ვოლფსბურგი	17	6	6	5	34:24	[illegible]
კიოლნი	16	7	3	6	31:27	[illegible]
ლაუტერნი	16	7	3	6	21:21	[illegible]
ფრაიბურგი	17	6	5	6	25:21	[illegible]
ჰამბურგი	16	6	3	7	33:30	[illegible]
ვერდერი	15	5	5	5	20:21	[illegible]
აინტრახტი	17	6	2	9	22:29	[illegible]
მიუნხენი	16	4	6	6	19:28	[illegible]
ჰანზა	16	5	3	8	13:25	[illegible]
შტუტგარტი	17	4	5	8	25:30	[illegible]
უნტერჰახინგი	16	4	5	7	17:27	[illegible]
კოტბუსი	16	5	2	9	17:28	[illegible]
ბოხუმი	16	4	3	9	13:31	[illegible]

მეორე ბუნდესლიგა

XVII ტური

ოსნაბრუკი 1:3 დუისბურგი

0:1 პოლიკელა (32), 1:1 შპორკი (34), 1:2 ზა[illegible] (58), 1:3 ვიდუკა (75)

ულმი 1:1 კიკერსი

0:1 ბლეკინი (35), 1:1 როსლერი (58)

ზაარბრიუკენი 1:0 არმინია

1:0 ჰუტველკერი (39)

ნიურნბერგი	16	12	3	1	35:13	[illegible]
ჰანოვერი	16	8	5	3	29:15	[illegible]
როიტლინგენი	16	8	4	4	38:29	[illegible]
ზანქტ პაული	16	7	6	3	38:27	[illegible]
დუისბურგი	17	7	5	5	26:20	[illegible]
გლადბახი	16	6	7	3	27:19	[illegible]
ზაარბრიუკენი	17	7	4	6	26:32	[illegible]
ფიურტი	16	6	5	5	24:19	[illegible]
ვალდჰოფი	16	6	5	5	25:22	[illegible]
ობერჰაუზენი	16	7	2	7	22:24	[illegible]
ალენი	16	5	6	5	22:26	[illegible]
ალემანია	16	5	5	6	23:30	[illegible]
არმინია	17	5	4	8	24:23	[illegible]
ულმი	17	5	4	8	21:24	[illegible]
მაინცი	16	4	5	7	17:22	[illegible]
კიკერსი	17	3	7	7	14:22	[illegible]
ოსნაბრუკი	17	2	4	11	14:32	[illegible]
ქემნიცი	16	2	3	11	14:40	[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიზანული ბოიკოტი

ბოლო რვა წელია, იუგოსლავიელებს ჩაგრავენ — ხან ნაკრებს კვეთენ ევროპის ჩემპიონატიდან, ხან კლუბებს აიძულებენ, ნეიტრალურ მოედანზე ითამაშონ. ახლა შესაძლოა, ბელგრადის „პარტიზანმა“ დატოვოს ქვეყნის ჩემპიონატი, თუმცა ეს უკვე შიდა იუგოსლავიური საქმეა.

14 ოქტომბერს პირველი წრის მთავარი ბრძოლა უნდა გამართულიყო: „ცრვენა ზვეზდა“ — „პარტიზანი“. ბრძოლა მართლაც შედგა, ოღონდ არასაფეხბურთო. მეტოქე გუნდების ქომაგებმა მატჩის დაწყებამდე დასცხეს ერთმანეთს. ფეხბურთელებმა მაინც სცადეს თამაში, თუმც ჯობდა, თავი შეეკავებინათ — სამი წუთის შემდეგ ხალხი მინდორზე შეიჭრა და მათ დაერია. ყველას მოხვდა, უფრო მეტი კი პარტიზანელებს.

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ მეტოქეთა 17 თებერვალს ხელახალი შეყრა ბრძანა. 24 თებერვალს ჩემპიონატში ზამთრის არდადეგები მთავრდება და მატჩიც კალენდარში თავისუფალ დღეს დაამთხვიეს.

„პარტიზანი“ ფედერაციის გადაწყვეტილებას აპროტესტებს და ჩემპიონატის მიტოვებით იმუქრება. კლუბის პოზიციას მისი დირექტორი ნენად ბიეკოვიჩი ასე ხსნის: „ასეთ შემთხვევაში მასპინძელი გუნდი („ცრვენა ზვეზდა“) უნდა დაისაჯოს. ყველგან ასეა და ჩვენ რატომ ვიგონებთ ახალ წესებს? ულაპარაკოდ გვეკუთვნის ტექნიკური გამარჯვება. თუმც ვიცი, რაშიცაა საქმე, ადრე ვთქვით, რომ ამ ფორმით მოპოვებული სამი ქულა არ გვჭირდება და ყაბულს ვართ, საბოლოო შედეგად 0:0 დაფიქსირდეს. როგორც ჩანს, ზოგიერთებმა დათმობა სისუსტედ ჩაგვითვალეს და გადათამაშებაც ამიტომ დანიშნეს. რაკი ასეა, ბოლომდე პრინციპულები ვიქნებით, თუ ფედერაცია გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ჩემპიონატს მივატოვებთ“.

უკან დახევას არც ფედერაცია აპირებს, 14 ოქტომბრის მატჩის ჩაშლაში „პარტიზანის“ და „ცრვენა ზვეზდას“ ქომაგები თანაბრად არიან დამნაშავენიო.

ამჟამად ორივე გუნდი ქულებით თანაბარია, გათამაშების ცხრილს „პარტიზანი“ ბურთების უკეთესი შეფარდებით ლიდერობს.

ვის ენდობით?!

უცხოეთში წამსვლელთა საყურადღებოდ

ბრაზილიაში კვლავ იძიებენ საფეხბურთო მაქინაციებთან დაკავშირებულ საქმეს. კონგრესის სპეციალურ კომისიას ამ კვირაში მეორედ უნდა დაეკითხა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო, რადგან მისმა პირველმა ჩვენებამ კომისია ვერ დააკმაყოფილა. კერძოდ, გაუგებარი რჩება, რა გზებით იშოვა ლუქსემბურგომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ცხრა მილიონ დოლარზე მეტი, რომლის დაახლოებით ნახევრის საშემოსავლო დეკლარაციაში ჩაწერა დააგვიწყდა. არცთუ დამაჯერებლად ჟღერს ყოფილი მწვრთნელის პასუხი, ამდენი ფული მანქანებით ვაჭრობით მოვიგეო. ეჭვობენ, რომ ლუქსემბურგო ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან (კლუბებში უშაობის დროს) და მოგვიანებით ნაკრებში მათი მიწვევის სანაცვლოდ „საკომისიოს“ იღებდა, რასაც სხვაგვარად ქრთამი ჰქვია.

ლუქსემბურგოს მეორე დაკითხვა გაიმართა. ორშაბათს კომისიის წარმომადგენელმა ივონ ბელემმა განაცხადა, რომ ყველა ფინანსური დოკუმენტის შესწავლა ვერ მოასწრეს და ლუქსემბურგოს ახალი წლის შემდეგ დაიბარებენ. გასაკვირი არცაა, ლუქსემბურგოს ოცდაათ სხვადასხვა ბანკში აქვს ანგარიში გახსნილი. ახლა ოცდაათი თითოეული კონკრეტული თანხის მოძრაობის რაოდენობაზე გავამრავლოთ და საკმაოდ დიდ რიცხვს მივიღებთ. აბა, როგორი შესამოწმებელია? ასე რომ, ვანდერლეი ლუქსემბურგომ საახალწლოდ უნდა ინატროს, რომ კომისიამ მისი შემოსავლების წყაროს ვერ მიაგნოს.

ამასობაში კონგრესმენმა ედუარდო კამპოსმა კომისიის სხდომაზე ვინმე ფაბიო ფარია მიიყვანა. ეს სახელი ჩვენ არაფერს გვეუბნება. დიუმასეულ აბატ ფარიასთანაც არაფერი აქვს საერთო, მაგრამ ფარიები ბრაზილიაშიც და მის გარეთაც მრავლად გვხვდება.

ფაბიო ფარია ღარიბი ოჯახიდანაა და თექვსმეტი წლისაა. როგორც უამრავი ბრაზილიელი მოზარდი, ისიც ფეხბურთითაა გატაცებული და სან პაულუს პაწაწინა კლუბ „ჟუვენტუსში“ ვარჯიშობს. ერთ უბედურ დღეს (თუმცა, მას თავიდან მშვენიერი ეგონა) უცხო პიროვნება მიადგა და საფეხბურთო აგენტ ტედ ჟუნიორად გაეცნო. მერე ოჯახშიც ესტუმრა და ნათელ მომავალზე ესაუბრა: პორტუგალიური პასპორტი ერთ დღეში, ბელგიის პირველი დივიზიონის კლუბი, მაღალი ხელფასი, სწავლა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რისთვისაც ბრაზილიელებისა არ იყოს, უამრავი ქართველი მიდის ევროპაში. თავად სინიორ ჟუნიორი რას ითხოვს? ბევრს არაფერს — სულ რაღაც სამი ათას დოლარს. რა, ბევრია? გაჭირვებული ბრაზილიური ოჯახისთვის, რა თქმა უნდა, მაგრამ ბელგიური ოქროს მთებიც გაიხსენეთ, ნუთუ მშობლებს არ სურთ, მათი შვილი მეორე რონალდო გახდეს? ოჯახმა ფული შეაგროვა...

ფაბიო ფარია: „ჩავედით ბელგიაში. აგენტმა პაწაწინა ოთახი მიქირავა და დამპირდა, კლუბის მოძებნას ორ კვირაზე მეტი არ დასჭირდებაო. რამდენიმე ადგილას მივედით და არაფერი გამოვიდა. ბოლოს რომელიღაც კლუბი ჩემს გასინჯვას დათანხმდა, მაგრამ აგენტმა მაშინვე ხელი მომკიდა და წამომიყვანა. ასე მითხრა, ეგ კლუბი შენი დონის არ არის, უკეთესს მოგიძებნიო. ოღბრუნდი ბინაში და მას მერე ჟუნიორი აღარც მინახავს, სადღაც გაქრა.

ფული არ მქონდა და ბინიდან გამომაგდეს. მთელი დღეები შიშიერი დავდიოდი ქუჩებში და იქვე მეძინა. რაკი ენა არ ვიცოდი, ვერავის ვერაფერი გავაგებინე. რვა თვე ასეთ დღეში ვიყავი. ბოლოს შემთხვევით ვიღაც ბრაზილიელს წავაწყდი, რომელიც იქ ცხოვრობდა და შემიფარა. სამშობლოშიც დარეკა და ჩემი ამბავი შეატყობინა“.

კონგრესმენი ედუარდო კამპოსი პირადად ჩავიდა ბელგიაში ყმაწვილი ფეხბურთელის ჩამოსაყვანად და როგორც უკვე ვთქვით, კონგრესის კომისიასაც წარუდგინა. სახელი ტედ ჟუნიორი, ცხადია, მოგონილია და ამ თაღლითის ნამდვილი ვინაობა უცნობია.

კომისიის წევრი სილვიო ტორესი ამბობს: „უბედურებაც ისაა, რომ ეს ერთეული შემთხვევა არაა. სამწუხაროდ, ბრაზილიაში უამრავი ფარია და ჟუნიორია. ვიღაც იტყვის, ფარიებმა თავის თავს დაბარალონ, სულელურად რომ ეგებიან ანკესზეო. იქნებ ეს მართალიც იყოს, მაგრამ ჩვენი მხრიდან ხელების დაბანა დაუშვებელია. განსაკუთრებით კი აი, რა მაინტერესებს, ამ საკითხზე არც ერთ აგენტს და ფედერაციის ჩინოვნიკს არაფერი უთქვამს. ნუთუ არ აწუხებთ, ან ფიქრობენ, რომ ასეთი პრობლემა არ არსებობს?“

არსებობს თუ არა და აწუხებთ თუ არა, ამას ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირასგან შევიტყობთ, რომელიც დღეს წარდგება კომისიის წინაშე.

გიორგი დარჯანია

ჩილავერტი გასუქებულა და გაქსუებულა

მისგან გოლების გატანას და არგაშვებას ითხოვდნენ, მაგრამ...

ფლეულს საფრანგეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე გაჭირვებული გუნდი „სტრასბურია“. ალზასელებმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყეს, გოლებიც ბლომად გაუშვეს და თავიდანვე აუტსაიდერთა შორის მოხვდნენ. ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელებმა მდგომარეობის გამოსწორება დაისახეს მიზნად. მათი თვალთახედვის არეში მეკარეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და ექსტრავაგანტური ხოსე ლუის ჩილავერტიც მოექცა.

პარაგვაელი სტრასბურში 1 ნოემბერს ჩავიდა და ქომაგებმა ლამის მესიასავით მიიღეს. თუმცა მისი იქ მისვლით „სტრასბურს“ იერი ნამდვილად არ უცვლია და ბოლო, მე-20 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის ფსკერზეც დაილექა. გუნდმა სულ 39 ბურთი გაუშვა. ეს მთელი 10 გოლით მეტია, ვიდრე მეორე უარესი დაცვის მქონე „სენტ ეტიენის“ შედეგი. ჩილავერტის „წვლილი“ ამ 39 გოლში უკვე ცხრაა (6 თამაშში), რაც ძირითადად იმის ბრალია, რომ იგი ცუდ ფორმაშია.

შაბათს „რენის“ წინააღმდეგ პარაგვაელი კარის ხაზზე გაქვავდა და სირილ შაპუის დარტყმისას არც განძრეულა. ასე დაწინაურდნენ სტუმრები, რომლებიც საბოლოოდ ფრეს (1:1) დასჯერდნენ. და თუ „სტრასბურმა“ მეტი აღარ გაუშვა, ჩილავერტის დამსახურება ამაში დიდი არაა. 41-ე წუთზე მისი დაგვიანებული ნახტომის შემდეგ ბურთი ძელმა მოიგერია და სარეთოდაც, რენელებს დარტყმებისას მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, იმ თამაშს უეჭველად მოიგებდნენ.

საფრანგეთში უკვე ფიქრობენ, რომ ჩილავერტს გადახტომა ეზარება. მისი გაშვებული გოლებიდან საშუალო დონის მეკარე ნახევარს მაინც აიღებდაო, წერია ალზასის ერთ-ერთ გაზეთში.

ერთი სიტყვით, არგენტინული „ველეუ სარსფილდის“ ყოფილი კარის დარაჯი აშკარად ვერაა ფორმაში. იგივე გაზეთი ამტკიცებს, რომ 35 წლის ფეხბურთელი 103 კილოგრამს (სიმაღლე 1,88 მ) იწონის, ანუ ოფიციალურად გამოცხადებულ წონაზე მთელი 10 კილოთი მეტს. ამ აზრის გასამყარებლად კლოდ ლე რუას ამასწინანდელი ნათქვამიც გამოდგება. მაშინ ჯერ კიდევ „სტრასბურის“ მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ ჩილავერტს ერთი-ორი ზედმეტი კილო ჰქონდა, რაზეც პარაგვაელმა უპასუხა, სულ ამ წონით ვთამაშობდიო.

თუმცა „სტარსბურის“ პრეზიდენტი თავისი სამხრეთამერიკელის უხეირო თამაშს ადაპტაციის პრობლემებს აბრალებს. „მისი ოჯახი ჯერ კიდევ არ არის აქ. თანაც ზოგიერთი ფეხბურთელი ძალიან მტრულად უყურებს და არც ესალმება ხოლმე“ — თქვა პატრიკ პრუაზიმ.

პრეზიდენტი „ზოგიერთ ფეხბურთელში“ ტედი ბერტენს უნდა გულისხმობდეს. „სტარსბურის“ ლიბეროს, რომელიც ჯარიმებსა და პენალტებს ასრულებდა, ჩილავერტის გუნდში მისვლა სრულიად არ გახარებია და თავისი პოზიცია საკმაოდ მკვახედაც გამოუხატავს. პარაგვაელი ხომ მისი კონკურენტი იყო, რადგან კარიერის მანძილზე 60-მდე გოლი შეაგდო, რითაც მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ბერტენმა შემდეგ ბოდიშიც მოიხადა, თუმცა გუნდის კაპიტნობა მაინც დაკარგა (ახლა ამ მოვალეობას მარტენსი ასრულებს).

ჯარიმების შესრულება კი ჩილავერტისთვის, ალბათ, ერთადერთი ნუგეშია საფრანგეთში და ისიც ურტყამს. თავიდან პარაგვაელი ბურთს ან ცოცხალ კედელს ახვედრებდა, ან კარს აცილებდა, ბოლო ორი დარტყმა კი კარგი გამოუვიდა. მონაკოში მისი ჯარიმის შემდეგ მასპინძლები გოლისგან ძელმა იხსნა, „რენთან“ კი მას მეტოქე კოლეგამ, ბერნაო ლამამ ავჯობა.

ისე, შეიძლება პარაგვაელის დღეები საფრანგეთში დათვლილიც იყოს, რადგან „სტრასბურს“ ზამთრის არდადეგებისას ათამდე ფეხბურთელის გაშვება გადაუწყვეტია. ამ სიაში შეიძლება ჩილავერტიც მოხვდეს, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე ათიოდ კილო არ დაიკლო.

გაგი გურული

შოლმა ქალებს ვეღარ გაუგო

აღარც სტრიპტიზი მოსწონს

ორიოდე დღის წინ მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი ბარში შევიდა, ერთი კათხა ლუდი შეუკვეთა და იქვე დახლთან ნელნელა წრუპავდა. ამ დროს მას ერთი მანდილოსანი მიუახლოვდა და...

„ჩემთვის ვიდექი და ლუდს ვსვამდი, არავის არაფერს ვუშავებდი, მოულოდნელად უცნობი ქალი მოვიდა და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე კი ლაზათიანი სილა გამაწნა — მოუყვა გაოგნებული შოლი ჟურნალ „ბუნტს“ — მერე დადგა და შემომყურებდა, ჩემგანაც გარტყმას ელოდა, მაგრამ აბა, ამას ხომ არ ვიკადრებდი“. მერე ფეხბურთელმა დასძინა, ამ ბოლო დროს ქალებს ვეღარაფერს ვუგებ, იმ მომენტში მეგონა, უცხოპლანეტელი ვიყავი და არავისი მესმოდა. რატომ გამარტყა, რისთვის, არაფერი არ ვიცი. მომბეზრდა, ეს ვარსკვლავის იმიჯი, მინდა, ჩვეულებრივი ადამიანი ვიყო. ეფენბერგს ვესაუბრებოდი ამასწინათ და ისიც ამ აზრზეა. ფეხბურთელებზე ათასი ჭორები და საზიზღრობები იწერება. ეს ჩვენი სულის სტრიპტიზია, რომელიც ძალიან ცოტა ჩვენთაგანს თუ მოსწონსო.

ეფენბერგის ხსენებაზე ჟურნალისტებს უმალ დაახლოებით ერთი თვის წინანდელი ამბავი გაახსენდათ, როცა „ეფემ“ ერთ-ერთ ღამის კლუბში მავანი ინგლისელი მანდილოსანი გემრიელად მიჟეჟა. ამის გამო „ბაიერნის“ კაპიტანს ჯიბე გვარიანად შეუთხელდა. შოლმა კი თავისი მოთმინებით მანდილოსნების გულიც მოიგო და ფულიც დაზოგა.

სიახლე ფინანსებში: რევოლუციური გადასახადი

რამდენ სპორტსმენს ჰქონია პრობლემები გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით, მაგრამ ბიქსენტე ლიზარაზუს რომ გაუჩნდა, მაინც განსაკუთრებულია. სხვადასხვა ქვეყნები, როგორც წესი, თავიანთ სპორტსმენებს საშემოსავლო გადასახადს აკისრებენ და შემოსავლების დამალვასაც აბრალებენ ზოგ-ზოგებს, მაგრამ ასეთი რამ?!

გერმანიის „ბაიერნისა“ და საფრანგეთის ნაკრების მცველს „რევოლუციურ გადასახადს“ სთხოვენ და იცით, ვინ? ბასკეთის ტერორისტული ორგანიზაცია ეტა. შეგახსენებთ, რომ ეტა ბასკეთის თავისუფლებისთვის იბრძვის და საამისოდ ყველა ხერხს იყენებს, ანუ მისთვის მიზანი ამართლებს საშუალებას. „ეტას“ მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტებს ხომ თვლა არა აქვს. ერთ-ერთი აფეთქების მომსწრე თავადაც ვიყავი, როცა ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩზე თბილისის „დინამოს“ ბილბაოში ვახლდი. მაშინ აფეთქებულ მანქანას, ისევე როგორც ეტას ტერაქტების უმეტეს შემთხვევებში, მსხვერპლი არ მოჰყოლია. თუმცა ხანდახან ბასკი ნაციონალისტების ქმედებებს ადამიანებიც ეწირებიან.

დავუბრუნდეთ ლიზარაზუს, რომელიც ეროვნებით ბასკია. ეტა მას ფულს თურმე იმიტომ სთხოვს, რომ იგი „მტრული ქვეყნის“ ეროვნულ გუნდში თამაშობს. სწორედ ასე წერია პარიზიდან ლიზარაზუს მშობლების მისამართზე გაგზავნილ წერილში.

ფეხბურთელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ზომები უკვე მივიღეთო, განაცხადეს ფრანგმა და გერმანელმა პოლიციელებმა.

ბიქსენტე ლიზარაზუსთვის საფრანგეთის ნაკრებში თამაში ძვირი სიამოვნებაა

ჰო, ეტა-ს მიერ ანდეიში (სამხრეთ საფრანგეთი) გაგზავნილი წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში თავიდან ლიზარაზუს, როგორც ფეხბურთელს, ხოტბას ასხამენ და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობას ულოცავენ. შემდეგ კი, რევოლუციური გადასახადი.

ბიქსენტეს დედამ, რომელსაც საგენტო „ფრანს-პრესი“ ტელეფონით დაუკავშირდა, განაცხადა, რომ... უფრო სწორად, მადამ ლიზარაზუს, ფაქტობრივად, არაფერი განუცხადებია: „ვერაფერს გეტყვით, არაფრის თქმა არ მსურს“.

გადაიხდის თუ არა ლიზარაზუ „რევოლუციურ გადასახადს“, დრო გვიჩვენებს. თუმცა იქნებ ჩვენ ამის შესახებ ვერც ვერაფერი გავიგოთ. და იცით, რატომ? დიდიე დეშამპიც ხომ ბასკია, ესპანეთის ნაკრებშიაც უამრავი ბასკი თამაშობს, თანაც ესპანეთს ბასკეთის მეგობარს ვერავინ დაარქმევს, მაგრამ ეს ფეხბურთელები იხდიან თუ არა „რევოლუციურ გადასახადს“, ხომ არ ვიცით?

გაგი გურული

ინგლისი

ლიგის თასის მეოთხედფინალი

ბირმინგემი 2:0 შეფილდ უენსდი

1:0 სონერი (27), 2:0 ადებოლა (56)

მანჩესტერ სიტი 1:1 იფსვიჩი

0:1 მ. სტიუარტი (3), 1:1 დიკოვი (20)

მატჩი 22-უ წუთზე ბავრის გამო შეწყდა და გაიმართება 19 დეკემბერს

ჭრ. პალასი — სანდერლენდი

გადაიდო

შოტლანდია

ასოციაციის თასი. I ეტაპი

ბრეჩინი — ფორფარი 3:0

I ეტაპი. გადათამაშება

ისტ ფაირი — ალბიონი 2:0; ისტ სტირლინგი — დამბარტონი 0:1

ჰოლანდია

გადადებული მატჩები

ვალვაიკი 1:1 პსვ ეინდჰოვენი

1:0 პუგენდორპი (9), 1:1 დე იონგი (39)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინეკე (დე იონგი 27), ლუსიუსი, ვან ბომელი, ვოგელი, კოლკა (რომადალი 60), ჯემანი, რამზი (კლაუდიო 75)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

6 100 მაყურებელი

ტვენტე 0:2 როდა

0:1, 0:2 ანასტასიუ (41, 54)

ფეიენოორდი	14	12	1	1	35:13	37
პსვ ეინდჰოვენი	15	10	4	1	26:11	34
ვიტესი	15	10	3	2	32:20	33
აიაქსი	17	9	3	5	40:23	30
ნაიმეგენი	16	6	9	1	24:15	27
როდა	17	8	3	6	33:25	27
ვალვაიკი	16	6	6	4	16:14	24
ალკმარი	16	6	5	5	26:24	23
უტრეხტი	16	6	3	7	29:29	21
ტვენტე	16	5	5	6	25:26	20
ბრედა	15	6	2	7	21:26	20
ტილბურგი	15	4	6	5	21:21	18
გრონინგენი	16	4	4	8	22:28	16
ჰერენვენი	15	3	7	5	16:25	16
გრაფშხაპი	17	4	1	12	24:35	13
სპარტა	16	3	4	9	22:33	13
როზენდალი	15	3	0	12	21:40	9
სიტარდი	15	1	4	10	9:34	7

იტალია

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

უდინეზე 4:1 ლაციო (1:2)

1:0 სოტილი (2), 2:0 მარჯოტა (9), 2:1 მიხაილოვიჩი (21ბ), 3:1 მარჯოტა (80), 4:1 ვალემი (90)

უდინეზე: დე სანტისი, ალბერტო, გარგო, სოტილი (ვალემი 72), დიასი, ფიორე, ჯანკედა, ელგერა, იორგენსენი (ბანფრედინი 86), მუცი, მარჯოტა (პინცი 90)

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანინი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ფერნანდუ კუუტუ, კოლონნეზე, ბეზარეზი (კრესპო 83), გოტარდი (ლომბარდო 61), სიმეონე, მიხაილოვიჩი, ნედვედი, რავანელი, ბერეტონი (დ. ბაჯო 46)

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

გაფრთხილება: ბერეტონი, ფერნანდუ კუუტუ, მარჯოტა, სიმეონე, ნედვედი, ელგერა, კოლონნეზე

გაძევება: მიხაილოვიჩი (53), ნედვედი (88)

7 000 მაყურებელი

„რამდენიმე შეცდომა დავუშვით, ამისთვის დავისაჯეთ კიდეც. ძალიან სამწუხაროა, რომ დავმარცხდით და თასის გათამაშებიდან გამოვვარდით, მაგრამ ახლა მთავარია მომავალ რომაულ დერბიზე ვიფიქროთ. როული თამაში გველის და ყურადღება გვმართებს. იმედია, ფეხბურთელები ამას გაითვალისწინებენ,“ — სვენ გორან ერიკსონმა ეს „უდინეზესთან“ 1:4 დამარცხების შემდეგ თქვა. რეალობა კი ასეთია — იტალიის თასისა და სკუდეტოს შარშანდელი მომგები გუნდი წლეულს თასის გათამაშების მიღმა დარჩა.

„ლაციოს“ პირველი მატჩი რომში 2:1 მოეგო, უდინურ შეხვედრაში კი მოვლენები ასე განვითარდა. მასპინძლებმა ორი სწრაფი გოლი გაუტანეს ჩემპიონებს და ეს ყველაფერი პირველ 9 წუთში მოახერხეს. ტაიმის შუაწელში „უდინეზეს“ მცველმა მოჰამედ გარგომ თავის საჯარიმოში დიეგო სიმეონე წააქცია, სინიშა მიხაილოვიჩმა პენალტი ზუსტად დაარტყა. თუმცაღა თერთმეტმეტრიანებისა და ჯარიმების შესრულების ოსტატმა თამაში ბოლომდე ვერ დაასრულა, 53-ე წუთზე იგი გააძევეს. ორი მატჩის ჯამში ანგარიში თანაბარი იყო, ვიდრე მე-80 წუთზე იოჰან ვალემისა და მასიმო მარჯოტას კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელმა არ იხეირა და ბურთი რომაელთა კარში არ შეაგდო. აქ კი მონასტერი აირია, ფეხბურთელებმა მუჯლუგუნებს უხშირეს, შედეგი კი პაველ ნედვედმა მოიმკო — მსაჯმა მას წითელი ბარათი აუფრიალა. რამდენიმე წამში იოჰან ვალემმა ლუკა მარკეჯანის ახლოდან მეოთხე ბურთიც გაუტანა და რომაელები სულ მთლად დაასამარა.

წაგებამ გული დაწყვიტა იტალიის ჩემპიონთა მმართველ კრანიოტს. „ბუნებრივია, შედეგით იმედგაცრუებული ვარ, რამდენჯერმე ჩვენც შეგვეძლო გოლის გატანა. ნედვედს რომ გამართლებოდა და ძელისთვის არ გაერტყა, ვინ იცის... მეორე ტაიმში ემოციები ვერ მოვთოკეთ, მიხაილოვიჩსაც უმტყუნა ნერვებმა, მისმა გაძევებამ ხომ „ლაციო“ სულ მთლად გატეხა. თუმცა, ახლა მთავარია, ხასიათი გამოვიკეთოთ და იმაზე ვიფიქროთ, რომ რამდენიმე დღეში რომაული დერბი გველის.“

მასიმო მარჯოტას „ლაციოს“ კარში მეორე გოლი გააქვს

ფეხბურთი მსოფლიოს ირგვლივ

ბრაზილიელი მცველი ლუსიო „ინტერნასიონალიდან“ ლევერკუზენის „ბაიერში“ გადავიდა. აღსანიშნავია, რომ 22 წლის ფეხბურთელს „ბარსელონაც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მან ბუნდესლიგა ირჩია. გერმანელმა ბრაზილიელებს 8 მილიონი დოლარი გადაუხადეს. „ლევერკუზენს“ „რივერ პლეიტის“ ნახევარმცველის, დიეგო პლასენტეს შეძენაც სურს და იმედი აქვს, რომ არგენტინელეთან შეთანხმებას მალე მიაღწევს. ლუსიო და სავარაუდოდ პლასენტეც „ლევერკუზენში“ სადებიუტო მატჩს ზამთრის არდადეგების შემდეგ ჩაატარებენ.

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს ალექს ფერგიუსონს ორ ვეტერან ფეხბურთელთან — დენის ირვინთან და ტედი შერინგემთან კონტრაქტის განახლებაზე სურს. „ისინი უდიდესი გამოცდილების მქონე მოთამაშეები არიან. მათი დახმარება კიდევ გვჭირდება,“ — განაცხადა სერ ალექსმა. „იუნაიტედს“ კი სეზონის ბოლოს, ალბათ, რაიმონდ ვან დერ გოუ დატოვებს. „ბევრი წინადადება მივიღე, შტატებში მეპატიჟებიან, არ გამოვრიცხავ, რომ კარიერა სწორედ ატლანტიკის გადაღმა გავაგრძელო“ — განაცხადა 37 წლის ჰოლანდიელმა, რომელიც „მანჩესტერის“ ღირსებას 1996 წლიდან იცავს. „ოლდ ტრეფორდზე“ იგი არნემის „ვიტესიდან“ გადავიდა.

უელსელი ნახევარმცველის, მეტიუ ჯოუნსის შეძენა „ლესტერს“ სურს. აღსანიშნავია, რომ „ლიდსის“ 20 წლის მოთამაშეს „ბლექბერნი“ ყიდულობდა, კლუბები თითქოს შეთანხმდნენ კიდეც, მაგრამ „ლესტერმა“ „ლიდსს“ შედარებით მეტი თანხა შესთავაზა და საბოლოოდ საწადელს, ალბათ, აისრულებს. იუწყებიან, რომ ჯოუნსი „ფილბერ სტრიტის“ ბინადარი უახლოეს დღეებში გახდება.

ინგლისელი ნახევარმცველი გრემ ლე სო სერიოზული ტრავმის გამო თითქმის ერთი წელიწადია, ვერ თამაშობს. ბოლოს იგი თითქოს გამოჯანმრთელდა, მაგრამ ექიმების განცხადებით, ახლა ხელახალი ოპერაცია სჭირდება და მოსალოდნელია, კიდევ ექვსი თვე გააცდინოს. „სასაცილოა, როცა ამბობენ, „ჩელსის“ გრძელი სათადარიგო სკამი აქვსო. ალბერტ ფერერი, იეს ჰოგი, ბერნარ ლამბური, რობერტო დი მატეო უკვე დიდი ხანია, არ თამაშობენ. სამწუხაროდ, მათ რიცხვს ახლა ლე სოც შეემატა და მან ეგებ სეზონის ბოლომდე ვერც მოახერხოს მინდორზე გასვლა“ — აღშფოთებულია „ჩელსის“ დამბმარე მწვრთნელი უეინ უილიამსი.

არგენტინელი ხავიერ მაკონი „ლოზანადან“ სანტანდერის „რასინგში“ გადაბარგდა. ახალ გუნდში თამაშს იგი სატრანსფერო სეზონის გახსნის შემდეგ შეძლებს. მაკონიმ შვეიცარიაში ორი წელიწადი ითამაშა. პრიმერადივიზიონელები მას კარგა ხანია, აკვირდებოდნენ, ახლა საბოლოოდ შეიძინეს და წელიწადნახევრიანი კონტრაქტიც გაუფორმეს.

პორტუგალიურმა „ბენფიკამ“ ბრაზილიურ „ფლუმინენსეს“ ნახევარმცველი როქერი 8 მილიონ დოლარად შეიძინა. „ფეხბურთელი პარასკევს ლისაბონში ჩავა და ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშს დაიწყებს“ — განაცხადა ბრაზილიელის აგენტმა მას შემდეგ, რაც როქერმა სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და „ბენფიკასთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ პორტუგალიურ კლუბში ოქტომბრიდან ახალი პრეზიდენტი — მანუელ ვილარინიუ მოღვაწეობს. როქერის გადაბარება მას დანიშვნის დღიდან სურდა, მაგრამ აქამდე კლუბები სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდებოდნენ.

ბრაზილიელმა მაურო სილვამ „დეპორტივოსთან“ კონტრაქტი 2004 წლამდე გაახანგრძლივა. „ეს დღე და მომენტი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, კარიერის საუკეთესო წლები გალისიაში გავატარე და სასიხარულოა, რომ „დეპორტივოში“ უფრო დიდხანს დავრჩები. ესპანეთის ჩემპიონი უკვე გავხდი. ვიმედოვნებ, ევროთასსაც დავეუფლები“ — განაცხადა ნახევარმცველმა.

თურქული „გენჩლერბირლიგის“ ნიგერიელი ლეგიონერი ტიჯანი ბაბანგიდა სამშაბათს ავტოავარიაში მოყვა და მსუბუქად დაშავდა. ავტოსაგზაო შემთხვევა ქალაქ ანკარაში დღისით მოხდა, როცა ფეხბურთელი კლუბის ოფისისკენ მიიჩქაროდა. ბაბანგიდა უმალვე საავადმყოფოში გააკანონეს, თავდაპირველად ექიმების მისი მდგომარეობით სერიოზულად შეშფოთდნენ, თუმცა საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ საშიში არაფერია. ბაბანგიდა ახლაც კლინიკაშია, მაგრამ იქ დიდხანს ყოფნა არ მოუწევს. ნიგერიელი თურქულ გუნდში რამდენიმე მატჩს გამოტოვებს.

ბრაზილიური „გრემიოს“ 20 წლის ვარსკვლავი რონალდო დე ასისი ანუ რონალდინიო, შესაძლოა, სულ მალე, ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელი გახდეს. გაზეთ „ლე პარიზიენის“ ინფორმაციით, კლუბებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და სულ მალე კონტრაქტიც გაფორმდება. 1997 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელით პსჟ გუნდის თავკაცად ლუის ფერნანდესის მისვლის შემდეგ დაინტერესდა. რონალდინიოს შეძენას ცოტა ხნის წინ „ბარსელონა“, „ინტერი“ და „ლიდსიც“ ლამობდნენ.

შმაიხელს ქომაგები გაანურისხდნენ

დანიელი მეკარე პიტერ შმაიხელი ლისაბონის „სპორტინგიდან“ წასვლას აპირებს. მიზეზი კლუბის ქომაგებთან უთანხმოებაა. რამდენიმე დღის წინ, გუნდის ვარჯიშისას შმაიხელს ბაზაზე შეკრებილი გულშემატკივრების მისამართით დაურტყამს ბურთი, მერე კი ვითომც არაფერიო, ვარჯიში გაუგრძელებია, ბოდიშის მოხდა არც უფიქრია.

თავის მხრივ, შმაიხელიც განაწყენებული ყოფილა. სხვათა შორის, ეს დანიელ მეკარესა და ქომაგებს შორის უსიამოვნების პირველი შემთხვევა არ ყოფილა.

პორტუგალიელი ქომაგებიც ამან გაანარისხა. მათ ჯერ გამოლანძღეს თავიანთი კერპი, მერე კი 37 წლის ფეხბურთელისკენ გაიწიეს კიდეც. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მეკარის საქციელი „სპორტინგის“ ხელმძღვანელებმა მკაცრად დაგმეს. კლუბის მოთამაშეთა ასეთი უსაქციელობა, გუნდის სახელს ჩირქს სცხებსო და ახლა ამბავთან დაკავშირებით საგანგებო აპირებენ მსჯელობას.

სარბიელი
სპორტული ლატარია

BOOKMAKERS

C R O C O

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

საქართველოს ჩემპიონატი

ანონსი

14 დეკემბერი. ვერის ბაღი. 12.00 **სსუ — სტუ**	
14 დეკემბერი. ვერის ბაღი. 13.45 **ვითა — თსუ**	15 დეკემბერი. ბათუმი. 16.00 **ბასკო — აზოტი**
15 დეკემბერი. ვერის ბაღი. 12.00 **შეჯარდენი — სსუ**	16 დეკემბერი. ვერის ბაღი. 14.00 **სტუ — თსუ**

არცა ჭულა და არცა ადგილი, არამედ რაღაც სხვა

ხვალ ბათუმში „ბასკო“ — „აზოტია“ და ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი. ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონს დაუპირისპირდება და ბუნებრივია, ეს ჯახი დიდ და საყოველთაო ინტერესს იწვევს. ამ მატჩის სანახავად ბათუმში საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ახალდანიშნული თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილიც ჩამოვა.

„ბასკო“ — „აზოტის“ შარშანდელი ფინალური სერია კარგა ხანია, ისტორიის კუთვნილებად იქცა. წარსული ვნებათაღელვა დავიწყებას მიეცა, ის, რაც იყო, დროის დინებამ შთანთქა და ჩვენი კალათბურთის გრანდები ახლა სხვა ჟინითა და შემართებით ისწრაფვიან დასახული მიზნისკენ. ცნობილი ამბავია, ორივე გუნდს საჩემპიონო ამბიცია აქვს, „ბასკოს“ ტიტულის შენარჩუნება სწადია, „აზოტს“ კი — ზღვისპირული გუნდის ტახტიდან ჩამოგდება, რათა თავად გაბატონდეს საკალათბურთო საქართველოში. ოქროს მაძიებელთა შორის სტუ-საც მოიხსენიებენ და სამართლიანადაც, მაგრამ მეათე ეროვნულის სავარაუდო ფინალი, უმრავლესობის აზრით, მაინც „ბასკო“ — „აზოტია“.

მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და ის ვთქვათ, რომ „აზოტისთვის“ „ბასკოს“ დამარცხებას და პირიქით, განსაკუთრებული ფასი აქვს. სატურნირო ცხრილში ხვალინდელი შეხვედრა ბევრს ვერაფერს შეცვლის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეტოქეები ერთმანეთს არ დაინდობენ. „ბასკოს“ საამმატჩო მოტივაცია ყველაფერთან ერთად ისიცაა, რომ დღემდე დაუმარცხებელია და ამ იმიჯის შენარჩუნება სურს, რუსთავის „აზოტს“ კი, ცხადია, ძალიან უნდა რომ არსებობის დღიდან შინ წაუგებელ „ბასკოს“ სწორედ საკუთარ კედლებში აჭამოს სირცხვილი.

შარშანდელზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ზღვისპირულმა გუნდმა „აზოტს“ წლეულსაც გვარიანად აწყენინა. პირველი წრის თბილისურ მატჩში ჩემპიონმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და მასთან ერთად ვერის ბაღში შეკრებილი საინტერესო ორთაბრძოლის მომლოდინე ქომეგებიც გააწბილა. „აზოტს“, ბუნებრივია, რევანში სწყურია — საკუთარ გულშემატკივარს მხოლოდ ამ შემთხვევაში მოფხანს გულს.



პირველი წრის აზოტი — ბასკო 65:89. ბათუმელმა ვლადიმერ ბეჟანიშვილმა (ტურთით) და მისმა თანაგუნდელებმა აზოტის გამწარება წლეულს უკვე მოასწრეს

ფოტო: ფოტოხელოვნების ფოტო

რუსთავული გუნდის ყველაზე დიდი ნაკლი ზედმეტი და ხშირად უადგილო ემოციურობაა. რაც უნდა მოხდეს, ბათუმში ნერვები უნდა მოთოკოს „აზოტმა“, თორემ წინდაწინვე წასაგებადაა განწირული. ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს კარგად მოეხსენება ყოველივე, ამიტომ უპირველესად ფსიქოლოგიურად უნდა შეამზადოს შეგირდები.

„ბასკოს“ დასამარცხებლად მხოლოდ ეს, ცხადია, არ იკმარებს. ზღვისპირელებს ყველა სათამაშო რგოლში ჰყავთ ლიდერი და მათ გასაუვნებლებად ხმელიძეს სათანადო ტაქტიკის შემუშავება და კალათბურთელების დარაზმვა მართებს. ყველაზე დიდ ხიფათს რუსთაველები ბათუმელთა წინახაზელებისგან უნდა ელოდნენ. კახა შენგელიას შემატებით ფარქვეშ საგრძნობლად გაძლიერებულმა „აზოტმა“ ვახტანგ ნაცვლიშვილის, ლევან ქარაბაკისა და ვალერი კილაძის თარეშის ასალაგმავად შესაძლოა ზონური დაცვაც მოიშველიოს. ამას რუსთაველთა თავკაცი სათამაშო სიტუაციიდან გამომდინარე გადაწყვეტს, მატჩის მსვლელობა უჩვენებს იმასაც, ფარქვეშ შენგელიასთვის ბერუაშვილის შეწყვილება სჯობს თუ ბაბიაშვილისა.

ბათუმელთა მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს არანაკლები საფიქრალი აქვს. თბილისური მატჩისგან განსხვავებით, შესაძლოა ახლა აღარ გამართლოს მის მიერ არჩეულმა ტაქტიკამ და მწვრთნელს სხვა ხრიკებიც უნდა ჰქონდეს მარაგში. მთავარია, მისი მითითებები ზედმიწევნით სწორად შეასრულონ შეგირდებმა.

მწვრთნელი გარედან დირიჟორობს გუნდს, მოედანზე კი პირველი ვიოლინო უდავოდ გამთამაშებელია, რომელსაც პარტნიორებისთვის თამაშის კარნახი და თავისიანთა შეტევის წინამძღოლობა ევალება. ამ მხრივ რუსთაველ არჩილ ჟღენტსა და ბასკოელ ჯეფ როჯერსის დუელია გამოსარჩევი. ეს კალათბურთელები ერთმანეთის ღირსეული მეტოქეები არიან და ის გუნდი იხეირებს, რომლის გამთამაშებელიც უკეთ წარმოაჩენს თავს. უკანა ხაზში როჯერსს სავარაუდოდ გიორგი ნიკოლაძე გაუმაგრებს მხარს, გამორიცხული არაა, სიმაღლეში უპირატესობის მოსაპოვებლად ტომარაძემ ამპლუით ფრთა ვლადიმერ ბეჟანიშვილიც უკან დახიოს. ამ რგოლში ხმელიძესაც დიდი არჩევანი აქვს, ჟღენტს ან ზაზა გაბისონიას შეუწყვილებს, ან მამუკა ტურაშვილს — ეს კალათბურთელები საკმაოდ მრავალნაკადი და საიმედონი არიან. „ბასკომ“ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ნუგზარ კოკოლიშვილის წინააღმდეგაც, სნაიპერული თვისებების მქონე კოკოლიშვილი ნებისმიერ მომენტში მზად იქნება, მეტოქეს რისხვა დაატეხოს თავს. თავის მხრივ, „აზოტმა“ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს საქმის კარგად მცოდნე ამროსი ორმოცაძესა და გიგი ნაცვლიშვილს, რომელიც ძირითადად პირველ შეტევაზეა ჩასაფრებული.

სხვაც რაღაა სათქმელი, დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება. ამ მატჩის ჩვენეული ანონსი ამგვარი გახლავთ, საბოლოო სიტყვა კი მწვრთნელ-კალათბურთელებმა უნდა თქვან. ფაქტი ერთია, წინა ჩემპიონატის ფინალისტთა და ახლანდელის ფავორიტთა დაპირისპირება ბევრ საინტერესო კითხვაზე გაგვცემს პასუხს.

ვერისბაღური მატჩებიდან სტუ — თსუ-ა გამოსარჩევი. სტუდენტური დერბი, რომელიც უნივერსიტეტელთათვის უფრო მნიშვნელოვანია, შაბათს გაიმართება. თუ ეს შეხვედრა ზაზა ზამთარაძის თსუ-მ მოიგო, თავს ექვსეულში დაიგულებს და მეორე წრის დამთავრებას შშვიდად დაელოდება. წაგების შემთხვევაში კი კვლავაც სათუოდ ექნება საქმე და მომდევნო მატჩებში გამარჯვებით შეეცდება ელიტარულ ექვსეულში მოხვედრას. სტუ, რომელიც კარგა ხანია, ექვსეულის სრულფასოვანი წევრია, მშვიდად ყოფნას სულაც არ აპირებს, თსუ-ს ძლევით ნუგზარ ჭეიშვილის სამწყსო სატურნირო ცხრილში დაკარგულ მესამე ადგილს დაიბრუნებს. ცნობისთვის, პირველ წრეში ამ გუნდების დაპირისპირება თსუ-ს გამარჯვებით დასრულდა (94:85), ასე რომ, ტექნიკოსებს პირადი ანგარიშებიც აქვთ უნივერსიტეტელ კოლეგებთან.

გიორგი ბიკაუშვილი

როგორი იქნება პლეი ოფი?



ათიოდ დღეც და დასრულდება საქართველოს მეათე საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. გაირკვევა ის ექვსეული, რომელიც გააგრძელებს ბრძოლას მედლებისთვის. მეორე ეტაპის, ანუ ექვსეულის თამაშების დაწყების ზუსტი ვადა, მიზეზთა გამო, ჯერ არ დადგენილა (საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მის დაწყებას 20 იანვარს ვარაუდობს), სამაგიეროდ, ნათელია მისი ჩატარების სისტემა. მეათე ეროვნულის დებულების მიხედვით: „გუნდები, რომლებიც პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით დაიკავებენ 1-6 ადგილებს, შეადგენენ პირველ ფინალურ ჯგუფს, და ორ წრედ მიმოსვლით და ერთ წრედ ტურად შეხვდებიან ერთმანეთს. პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები გუნდებს ჩაეთვლებათ.“

ცხადია, ეს ეტაპიც დასრულდება და მეათე ეროვნული გადამწყვეტ ფაზაში შევა. დადგება მესამე ეტაპის, ანუ პლეი ოფის ნახევარფინალის და ფინალის დრო. ისევ დებულებას მივმართოთ, სადაც ამოვიკითხავთ: „პირველ ფინალურ ჯგუფში მე-2 ეტაპის თამაშების ჩატარების შედეგების მიხედვით 1-4 ადგილებზე გასული გუნდები შეადგენენ ნახევარფინალურ ჯგუფს, რომელიც გააგრძელებს ბრძოლას მედლებისთვის პლეი-ოფის სისტემით. გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად: ორი ეტაპის თამაშების შედეგად გამარჯვებული გუნდი შეხვდება მე-4 ადგილზე გასულ გუნდს, მეორე ადგილზე გასული გუნდი შეხვდება მესამე ადგილზე გასულ გუნდს. გამარჯვებული გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს 2001 წლის საქართველოს ჩემპიონის გამოსავლენად, ხოლო დამარცხებული გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს მე-3 ადგილისთვის. ნახევარფინალური და ფინალური თამაშები ჩატარდება ორ მოგებამდე.“

თითქოს ყველაფერი ნათელი და გარკვეულია. თუმცა, კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ერთი საკითხი მაინც ბუნდოვანია. კერძოდ: რა პრინციპით გაიმართება პლეი ოფი, გუნდების ერთ სარბიელზე თავმოყრით თუ მიმოსვლით. ექნება თუ არა საკუთარი მოედნის უპირატესობა იმ გუნდს, რომელმაც ორი ეტაპის ჯამში უფრო მაღალი ადგილი დაიკავა.

დებულებაში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი. ეს ნიშნავს, რომ ფედერაციის აღმასკომი მოგვიანებით მიიღებს გადაწყვეტილებას და ჩემპიონატსაც თავისივე დადგენილი წესით ჩამთავრებს. პლეი ოფამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და ახლა არც იმის წინასწარ განჭვრეტაა შესაძლებელი, რას დაადგენს აღმასკომი. ჩვენ კი ორიოდ მოსაზრებას შემოგთავაზებთ პლეი ოფის გამართვის პრინციპის შესახებ.

შარშანდელი პლეი ოფი შერეული პრინციპით გაიმართა. ნახევარფინალები მიმოსვლით მოეწყო და ორი ეტაპის ჯამში უფრო მაღალ ადგილებზე მყოფმა გუნდებმა საკუთარი მოედნის უპირატესობა მიიღეს. ფინალი კი ერთ ადგილას, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ფინალი ყოველთვის ერთ სარბიელზე ეწყობოდა და მიმოსვლით ჯერ არ გამართულა.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაზე აღარაფერს ვიტყვით და ევროპის მაგალითს მოვიყვანთ. ჩვენი კონტინენტის ქვეყნების საკალათბურთო ჩემპიონატები (მიუხედავად იმისა, მაღალგანვითარებულია ქვეყანა თუ არა) კარგა ხანია პლეი ოფის (ფინალი, ნახევარფინალი და ა.შ.) მიმოსვლით ჩატარებაზეა გადასული. ცხადია, ეს მხოლოდ აკვიატება არ გახლავთ, ამით რამდენიმე ძირითადი სპორტული პრინციპია დაცული. იგივე მოდელის ჩვენს ჩემპიონატში გადმოტანა, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, რადგან ამას რამდენიმე დადებითი მომენტი ახლავს.

განვიხილოთ, რა არის კარგი იმაში, როცა პლეი ოფი მიმოსვლით იმართება და ორი ეტაპის შემდეგ უფრო მაღალ ადგილზე გასულ გუნდს საკუთარი მოედნის უპირატესობა ენიჭება.

— პლეიოფამდელ ეტაპებზე გუნდებს აქვთ იმის სტიმული, რაც შეიძლება მეტი მატჩი მოიგონ და რაც შეიძლება მაღალი ადგილი დაიკავონ. თავისთავად ჩნდება დამატებითი კონკურენცია, რომელიც ჩემპიონატის მიმდინარეობას გაცილებით საინტერესოს ხდის.

— გუნდს, რომელმაც საპლეიოფო მეტოქესთან შედარებით უფრო მაღალი ადგილი დაიკავა, მეტად უფასდება სეზონის განმავლობაში გაწეული გარჯა. ლოგიკურიცაა, ის გუნდი იყოს შედარებით პრივილეგირებული, რომელიც მეტოქეს პლეი ოფამდე თუნდაც მცირედით სჯობდა.

— პირველ და მეორე ეტაპებზე თითქმის ბოლომდე შენარჩუნდება ინტრიგა. როცა გუნდი მაქსიმალურად მაღალი ადგილის დაკავებას ცდილობს, მისი თამაშის ხარისხი მაღალია, მოთამაშეები და მწვრთნელები მეტ ოსტატობას ავლენენ და გულშემატკივარიც მოგებულია: დაძაბული და საინტერესო მატჩის ცქერა ერთ რამედ ღირს.

ახლა ისიც განვიხილოთ, რა არის უარყოფითი იმაში, როცა პლეი ოფი მიმოსვლით არ იმართება და გუნდებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა თანმიმდევრობით განლაგდებიან ოთხეულში.

— გუნდმა გაიაღდა ოთხეული და საპლეიოფოდ აღარავითარი პრივილეგია აღარ ელის. იგი თავს ათამაშებს უფლებას მისცემს და რომელიღაც მატჩს ზერელედ მოეკიდება. უმოტივაციო თამაში არავის არგებს: მოთამაშე შეიძლება ფორმიდან ამოვარდეს, მწვრთნელს ტექნიკურ-ტაქტიკური მონახაზში რაღაც გამოეპაროს, არც გულშემატკივარს ეამება უნიათო თამაშზე დასწრება. ასეთ შემთხვევაში ჩემპიონატიც დაზარალდება და მთლიანად კალათბურთიც.

— გუნდისთვის სულერთია, პირველ ადგილს დაიკავებს თუ მეორეს. რა გარანტიაა, რომ პლეიოფამდელ ეტაპზე იგი რომელიღაც შეხვედრას არ დაუთმობს სხვას? ამ შიშის საფუძველი იქნებ მყარი არც იყოს, რადგან საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი კოზირი სწორედ ისაა, რომ მასში ჩაწყობილ-გარიგებული თამაშები პრაქტიკულად არ არის. თუმცა წინდახედულობის და სიფრთხილის თავდანვე გამოჩენას ზიანი ჯერ არავისთვის მოუტანია.

პლეი ოფამდე ჯერ კიდევ შორი გზაა, მაგრამ, თუ სასწაული არ მოხდა, ბათუმის „ბასკოს“ და რუსთავის „აზოტს“ იქ მოხვედრაში ხელს ვერავინ შეუშლის. ორი გუნდიც, ნებსით თუ უნებლიედ, აუცილებლად თბილისის იქნება. „ბასკოს“ საკუთარ მოედანზე ნებისმიერი ეტაპის მატჩის მასპინძლობა შეუძლია. ამაში გვარწმუნებს ბათუმის რიგიანი საკალათბურთო დარბაზი, იქ გამართული შეხვედრები და ის ატმოსფერო, რომელიც კალათბურთის გარშემოა შექმნილი. სამწუხაროდ, რუსთავში წლეულს ვერ მოესწრება საკალათბურთო დარბაზის განახლება, რის გამოც „აზოტს“ საშინაო მატჩების გამართვა თბილისში უწევს. თუკი „აზოტი“ ორი ეტაპის შემდეგ ისეთ ადგილს დაიკავებს, რომ საკუთარი მოედნის უპირატესობაზე ლაპარაკი შესაძლებელი იყოს, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას სარბიელის არჩევის უფლება? იქნებ რუსთაველებს ვერის ბაღი ურჩევნიათ სპორტის სასახლეს ან პირიქით? იგივე შეიძლება ითქვას თბილისურ გუნდებზეც. მთავარი კი პრინციპია, ჰქონდეს გუნდს საკუთარი მოედნის უპირატესობა პლეი ოფის ნახევარფინალში, ფინალში თუ მესამე ადგილისთვის შეხვედრაში და არჩევანიც თავადვე გაკეთოს.

ამ წერილით არც ვინმეს გაღიზიანება გვიფიქრია და, მით უმეტეს, არც ვინმეს ფუნქციაში შეჭრა. უბრალოდ, ჩვენი აზრი და ვარაუდი მოგახსენეთ. პლეი ოფის ჩატარების პრინციპის დადგენა კი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეროგატივაა, რომელიც, ეჭვი არ გვეპარება, ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც სამართლიანი იქნება და ჩემპიონატის დასკვნით ნაწილს ერთიორად საინტერესოს გახდის.

ვერა რატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 100 ლეგენდა

9 დეკემბრის საუკეთესო მოთამაშე

გიორგი ნიკოლაძე

ბასკო

ჯერჯერობით დაუმარცხებელ ბათუმის „ბასკოს“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებთან შეხვედრისას პირველ ტაიმში ცოტა გაუჭირდა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი სტუ ყინჩად დაუხვდა მრისხანე მეტოქეს, ტოლს არაფერში უდებდა ჩემპიონს და წუთიც არ იყო გასული, რომ 5:0 უგებდა გასულ სეზონთან შედარებით ბევრად უფრო გაძლიერებულ ზღვისპირელებს. სტუდენტებმა ძირითადი აქცენტი ამერიკელ ლეგიონერ ჯეფრი როჯერსზე გააკეთეს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მიმდინარე ჩემპიონატში. სტუ-მ ნაწილობრივ შეძლო „ბასკოს“ შავკანიანი გამთამაშებლის ამოკეტვა და წინ გასვლასაც ხშირად ახერხებდა.

მეორე ნახევარში „ბასკოს“ ხელმძღვანელობამ როჯერსი დაასვენა და გამთამაშებლობა კიდევ ერთ ახალწვეულ გიორგი ნიკოლაძეს დაავალა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ზღვისპირელთა მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს იმედები გაუმართლა.

ერთი შეხედვით, ჩრდილში მყოფი ნიკოლაძე სწორედ მაშინ ამოქმედდა, როცა გუნდს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა. გიორგიმ მატჩის სადავეები იგდო ხელთ, ტემპი დაარეგულირა, ზუსტი და დროული პასებით პარტნიორები არაერთხელ დატოვა ხელსაყრელ პოზიციაში. მათ ისღა რჩებოდათ, რომ ბურთი მეტოქის კალათში მოეთავსებინათ. თამაშის ორგანიზებით გართული ნიკოლაძე იშვიათად უტევდა მეტოქის ფარს, მაგრამ როცა მისი ზუსტად ნატყორცნი სამქულიანით ანგარიში 61:52 გახდა, უკვე ნათელი იყო, რომ გამარჯვება „ბასკოს“ დარჩებოდა. გამთამაშებელი კარგად მართავდა ზღვისპირელებს, დროულად გადადიოდა მეტოქის ნახევარზე, ძვირფას წამებს იგებდა და შეტევებს მერეღა ახორციელებდა.

გიორგი ნიკოლაძის ოსტატური თამაში მით უფრო სასიამოვნოა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ყველაზე მეტად გამთამაშებლის პრობლემა წუხებს. ნიკოლაძეს არც გამოუცდია ეთქმის. მისი თაობის კალათბურთელთა საქართველოს კადეტთა ნაკრებმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში თამაშის ყველა უფლება მოიპოვა. ნიკოლაძე იმ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

მეფეებს ქორებზე ნადირობა ჩაეშალათ

12 დეკემბერი

სიეტლი 97:92 ორლანდო

სიეტლი: პეიტონი (21), პატერსონი (18)

ორლანდო: არმსტრონგი (25), მაკგრეიდი (20)

ლეიკერსი 105:109 მილუოკი

ლეიკერს: ონილი (26 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი), ბრაიანტი (25)

მილუოკი: ალენი (35), რობინსონი (26 ქულა, 13 მოხსნა), კასელი (25)

გოლდენ სტეიტი 93:101 პორტლენდი

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (30 ქულა, 15 მოხსნა), ჯეკსონი (27)

პორტლენდი: ვოლესი (29 ქულა, 11 მოხსნა)

დენვერი 85:96 მაიამი

დენვერი: მაკდაიესი (22 ქულა, 12 მოხსნა), მაკლაუდი (18)

მაიამი: ჯონსი (28)

ტორონტო 104:90 ინდიანა

ტორონტო: კარტერი (33), ოკლი (22 ქულა, 10 მოხსნა)

ინდიანა: როუზი (22), მილერი (19), ონილი (17 ქულა, 11 მოხსნა)

ნიუ ჯერსი 116:94 მინესოტა

ნიუ ჯერსი: მარბერი (27), მარტინი (20)

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 10 მოხსნა)

კლივლენდი 92:87 დალასი

კლივლენდი: ილგაუსკასი (24 ქულა, 12 მოხსნა), მილერი (22)

დალასი: ნეში (21)

ატლანტა 107:99 საკრამენტო

ატლანტა: ტერი (38), ჯეკსონი (20), შენდერსონი (18)

საკრამენტო: ვებერი (22 ქულა, 13 მოხსნა), ვილიამსი (21), კრისტი (20)

გახსოვთ, წინა სეზონის „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“? როგორ იოლად ამარცხებდა მეტოქეებს და ათ-თხუთმეტ მატჩს ისე ჩაატარებდა, წაგებას არ გამოურევდა. რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ , რაც ლოსანჯელესელებმა სეზონი ტრიუმფით დაამთავრეს. „ლეიკერსი“ თითქოს დღესაც ის გუნდია, რაც მაშინ იყო (უმნიშვნელო ცვლილებებს ნუ ჩავთვლით), მაგრამ ცხრილსაც ჩავხედოთ, სადაც ჩემპიონი სადღაც შუაში (იქნებ ცოტა ზემოთაც) გაჩხერილა და ამ ერთ თვეში თითქმის იმდენივე თამაშის წაგება მოასწრო, რამდენისაც მთლიანად წინა სეზონში. „ლეიკერსმა“ შინ „სიეტლთან“ ხომ წააგო, ვერც „გოლდენ სტეიტს“ მოერია და აგერ, „მილუოკისთან“ ჭიდილშიც მარცხი იწვნია. არადა, ეს უკანასკნელი უხეირო აღმოსავლეთ კონფერენციის ერთი რიგითი გუნდია და იმითაც ბედნიერი იქნება, თუ აღმოსავლეთის მოწინავე რვეულში ადგილს დაიმკვიდრებს და პლეი ოფში მოხვდება (იქ თუნდაც 0:3 წაუგია სერია). თავისი გუნდის ჩავარდნას „ლეიკერსის“ ფრთა რიკ ფოქსი მარტივად ხსნის: „ეიფორიაში ვართ და გვგონია, გამარჯვებები ციდან ჩამოგვიცვივა. დაცვაში ყურადღებით თამაშს ვუკადრისობთ და ის კი გვავიწყდება, რომ შარშან ამის წყალობით მოვიგეთ. ამას ჩემი ექვსი წლის ბიჭიც ხვდება“.

წინა სეზონის წარმატებებით თავბრუდახვეული „ლეიკერსი“ ამ ბოლო ერთ თვეში არაერთხელ დაისაჯა. ასე იყო 12 დეკემბერსაც „მილუოკისთან“. „ლეიკერსისთვის“ უკადრისი ამდენი წაგებაც ამას მივაწეროთ, თორემ „მილუოკი“ იმ გუნდად არ მიგვაჩნია, საუკეთესო ფორმაში მყოფ „ჩემპიონს“ ეჭიდავოს და სტუმრად დაამარცხოს.

თუ რაიმეთი გამოირჩევა „მილეოკი ბაქსი“, ეს მისი უკანა ხაზია. რეი ალენი, სემ კასელი და ფრთა გლენ რობინსონი — აი, „ბაქსის“ მაჯისცემა. მაგრამ ამ გუნდს ისეთი არავინ ჰყავს, ვინც შაკილ ონილს გააჩერებს. ამან კი, თუ გახსოვთ, წინა სეზონში ყველა პირადი თუ გუნდური ჯილდო მოიგო. არა, იგი არც ახლა ირჯება ურიგოდ, მაგრამ ძაინც შორსაა იმ შაკისგან, რომლის ხილვასაც მისი მწვრთნელი, თანაგუნდელები და გულშემატკივრები ისუვბდნენ. ერთი სიტყვით, იგი ლიგის ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა აღარ არის და მიუხედავად იმისა, რომ ახლა კობი ბრაიანტი ბრწყინავს, ვეღარც „ლეიკერსი“ პირველობს.

ამ შემთხვევაში ვერც ბრაიანმა დაიგრუხუნა. იგი უამრავ სროლას აფუჭებდა, მაგრამ ჯიუტად აგრძელებდა სროლას, თამაშში 31 ტყორცნიდან სულ 8 ჩააგდო. სამაგიეროდ, შეუდარებელი იყო მისი მეურვე რეი ალენი, რომელიც იშვიათად აცილებდა და მთელი შეხვედრის განმავლობაში სისხლს უშრობდა მასპინძლებს. ჩემპიონებს ხელს არც კასელი და რობინსონი აკლებდნენ, ერთი სიტყვით, მილუოკელებმა სეზონის საუკეთესო თამაში ჩაატარეს, რასაც მათ მეტოქეებზე ვერ ვიტყვით. „ლეიკერსი“ უკანმოუხედავად უტევდა და დაცვით თამაშს უკადრისობდა, კიდეც დაისაჯა ამისთვის. თანაბარ დაძაბულ შეხვედრაში მასპინძლებმა ვერა და ვერ მოახერხეს სოლიდურად დაწინაურება, რადგან ბურთები მათ კალათშიც ისევე ცვიოდა, როგორც მეტოქისაში. მატჩის დამთავრებამდე ათიოდ წამით ადრე ჩემპიონები 95:94 იგებდნენ და მეტოქესთან ეს სხვაობა დამაკმაყოფილებდალ ეჩვენებოდათ, სანამ სირემდე ოთხი წამით ადრე სემ კასელი სამქულიან ხაზს შიგნით არ შეიჭრა და ავანტურისტული ბურთი არ ჩააგდო. აქ კი საბოლოოდ დაიბნენ მანამდეც ყურადღებაგაფანტული მასპინძლები, უხეიროდ შემოიტენეს ბურთი, რეი ალანმა ჩაჭრა. ბურთი კასელს მიუვიდა და მასპინძლები იძულებულები გახდნენ სემ კასელზე დაჯარიმებულიყვნენ. მანაც სამი საჯარიმოთი მატჩს წერტილი დაუსვა.

„ასეთ თამაშებს ყოველთის ვიგებდით, ახლა კი ხშირად ვაგებთ ისეთებთან, ვისაც ცალი ხელით ვამარცხებდით. ეს შეხვედრაც ერთ-ერთი ასეთი იყო“ — ამბობდა ნამატჩევს შაკილ ონილი.

კარგი დღე არც „ლეიკერსის“ ღონიერ თანადგივზიონელ „საკრამენტოს“ დაადგა. „მეფეები“ ატლანტაში იქაურ „ქორებზე“ „სანადიროდ“ წავიდნენ, შინ კი ხელმოცარულნი დაბრუნდნენ. „ჰოქსის“ ახალგამომცხვარმა ლიდერმა ჯეისონ ტერიმ კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 38 ქულა მოიხვეჭა და „ატლანტას“ სეზონში მეხუთე გამარჯვება მოუტანა. „საკრამენტო“ კი, რომელსაც ასეთი კარგი სტარტი არსებობის ისტორიაში არ ჰქონია, სეზონში მეხუთედ დამარცხდა.

შინ იმრჯვა „სიეტლმა“. მისგან ძლეულ „ორლანდოს“ ვერც ახალგამოჯანმრთელებულმა ლიდერმა გრანტ ჰილმა უშველა, ან კი როგორ უშველიდა, ნაავადმყოფარი საკუთარ ლანდს ჰგავს. ჰილმა ეს შეხვედრა 8 სროლიდან მხოლოდ 2 ჩაგდებით და ჯამში ოდენ 9 ქულით დაასრულა. სანამ იგი ჩვეულ ფორმას აღიდგენს, „ორლანდოს“ ტრეისი მაკგრეიდის იმედად ყოფნა მოუწევს, „სიეტლთან“ კი მისი 20 და თანაგუნდელი დარელ არმსტრონგის ცოტა მეტი ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ნიუ ჯერსისაც“ დაბრუნდა ლიდერი სტივენ მარბერი, თუმც მას, ჰილისგან განსხვავებით, დიდხანს არ უთავდმყოფია. „მინესოტასთან“ მარბერის დამატებითი სტიმულიც ჰქონდა — ხუთი წლის წინ კარიერა სწორედ ამ გუნდში დაიწყო, თუმც „მინესოტამ“ რატომღაც „ნიუ ჯერსში“ გაცვალა, მიუხედავად იმისა, რომ მარბერი ურიგოდ „არ თამაშობდა. აზლა მან ყოფილ გუნდზე ჯავრი იმით იყარა, რომ საწყის თორმეტწუთიულში 15 ქულა ჩაუგდო და პირველივე მეოთხედში ისე გატეხა, „მინესოტა“ მთელი მატჩის განმავლობაში წელში ვეღარ გაიმართა.

ტორონტოში ჩასულ „ინდიანას“ და მის მწვრთნელ აიზია ტომასს მეგობრული ატმოსფერო დახვდათ. ტომასი „რეპტორზის“ პირველი გენერალური მენეჯერი გახლდათ 1995-97 წლებში და პოსტი საკუთარი ნებით დატოვა. მუდამ მომღიმარი აიზია მატჩის დაწყებამდე გულითადად ესალმებოდა ყველას და ხალხმაც გულთბილად მიიღო, მაგრამ დაიწყო შეხვედრა და მასპინძელთა კეთილგანწყობა უცებ გაქრა. სტუმრები „დინოზავრთა“ ხახაში აღმოჩნდნენ. დინოზავრების ლიდერმა ვინს კარტერმა ჩვეულად მოაოხრა მეტოქის კალათი. მის 33 ქულას ჩარლზ ოკლიმ სეზონში მისთვის ყველაზე ბევრი 22 ქულა წაუმატა. ამ ორს არც სხვები ჩამორჩნენ და „ინდიანა“ შინ ნაწყენი გაუშვეს.

ირაკლი ფირუზბილი



ლეიკერსი — მილუოკი. სემ კასელმა გადამწყვეტი ბურთი ჩაუგდო „ლეიკერსს“ და გაიხარა

AP ლოს ანჯელესიდან

კვირის მოთამაშე

კრის ვებერი

• საკრამენტო •



ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის მოთამაშედ „საკრამენტო კინგზის“ თავდამსხმელი კრის ვებერი დაასახელა. ვებერმა გოლდენსტეიტელ ანტაუნ ჯემისონს უფრო გუნდური წარმატების წყალობით აჯობა, ვიდრე პირადი მონაცემებით. „საკრამენტო“ კვირას ვისაც გადაეყარა, ყველა დაამარცხა, ვებერი კი თავის გუნდს ამ გამარჯვებათა სულისჩამდგმელად მოევლინა.

„საკრამენტომ“ და მისმა ლიდერმა ჯერ „სან ანტონიო“ იმსხვერპლეს. ექსჩემპიონმა „სფერზმა“ მიმდინარე სეზონში შინ პირველად წააგო, რაშიც ვებერმა 30 ქულით, 10 მოხსნით, 4 დაფარებითა და ამდენივე ჩაჭრით ლომის წილი დაიდო. მეორე შეხვედრაში „მეფეებმა“ შინ „ჰიუსტონს“ 111:98 მოუგეს. აქ ვებერს სეზონში ყველაზე ბევრი — 37 ქულა და 18 მოხსნა მოუგროვდა. ამას „მაიამის“ 101:97 ძლევა მოჰყვა, კვირის რჩეულის მონაგარი კი 19 ქულა, 10 მოხსნა და 5 დაფარება იყო. ამასთან, „საკრამენტომ“ ბოლო რვა წელიწადში მაიამიში პირველად მოიგო. კრის ვებერმა ამ სამ შეხვედრაში საშუალოდ 28,7 ქულა, 12,7 მოხსნა და 3,33 დაფარება მიითვალა.

რაც შეეხება ანტაუნ ჯემისონს, მან ეს ტიტული იმიტომ ვერ ირგუნა, რომ მისმა გუნდმა სამი შეხვედრიდან ერთადერთი მოიგო, თორემ ჯემისონის საშუალო შედეგიანობა 7 ქულით აღემატებოდა ვებერისას.

კვირის სხვა თავგამოჩენილ კალათბურთელთა სია ასე გამოიყურება: დევიდ ვესლი (შარლოტი), ანდრე მილერი (კლივლენდი), ანტონიო მაკდაიესი (დენვერი), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი), ჯალენ როუზი (ინდიანა), ლატრელ სპრიუელი (ნიუ იორკი), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), ალენ აივერსონი (ფილადელფია), კლიფ რობინსონი (ფინიქსი), გერი პეიტონი (სიეტლი).

ჩვენ ვითხოვთ ცვლილებებს!



ანდრე აგასი და პიტ სამპრასი

პიტ სამპრასს და ანდრე აგასის დევისის თასისთვის თავდადებას ვერ აიძულებს ვერც ჯონ მაკინროის გადადგომა, ვერც სხვა მსგავსი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენები. ამერიკელი ვეტერანები გაცილებით საფუძვლიან ცვლილებებს ითხოვენ, მათ შორის ტურნირის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებას და ერთ ადგილზე კონცენტრირებას.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ მაკინროის თანამდებობიდან გადადგომით, მაგრამ ეს მთავარი პრობლემა სულაც არ არის. დევისის თასის შემოღების შემდეგ სპორტი შესამჩნევად შეიცვალა, ტურნირმაც ფეხი უნდა აუწყოს დროს მოთამაშეებისა და მაყურებლების გულისთვის“ — მიაჩნია აგასის.

ხოტორა ლასვეგასელს, ეტყობა, ბევრი უფიქრია ყველაფერ ამაზე და საკმაოდ კონკრეტული წინადადებებიც გაჩნია: „შეკრიბონ ყველა გუნდი წინა ჩემპიონის ქვეყანაში ორი კვირით. ეს მოთამაშეთა გრაფიკისთვის, სატელევიზიო თუ სხვა შემოსავლებისთვისაც უკეთესი იქნება. წარმოგიდგენიათ, რა იქნება, 8 საუკეთესო გუნდმა, ვთქვათ, საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრალიაში ან აშშ-ში რომ მოიყაროს თავი? მსოფლიოს ნებისმიერ სტადიონზე სრული ანშლაგი იქნება, შემოსავლებსა და ყურადღებას ხომ ნუ იკითხავთ“.

აგასის მისი მთავარი მეტოქე სამპრასიც ეთანხმება: „ყოველთვის იმის მომხრე ვიყავი, დევისის თასის ფორმატი გაემარტივებინათ. ამერიკელ ქომაგებს უძნელდებათ, მას თვალი აედევნონ, რადგან ჩოგბურთს სპორტის ბევრი სახეობა უწევს კონკურენციას. დევისის თასი შესანიშნავი ტურნირია... ნეტავ, ვინმეს მოეხერხებინა, მისთვის თავი მოება“.

ერთი ეგ არის, ამერიკელების გარდა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე თითო-ოროლა კაცი თუ წუწუნებს და თავიანთი ქვეყნების ნაკრებების შემადგენლობაში ისეთი ვარსკვლავებიც კი ვერ ხვდებიან, როგორიც როლან გაროსის ჩემპიონი კარლოს მოიაა.

სამოსელი პირველი

დევისის თასზე ამერიკელი ჩოგბურთელების აზრის გათვალისწინებას ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) ჯერჯერობით და ალბათ უახლოეს მომავალშიც არ აპირებს. სამაგიეროდ, ქალთა და ვაჟთა სანაკრებო ტურნირებმა შეიძლება მალე ფერი იცვალონ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ჩოგბურთელები ეროვნულ მაისურებში გამოეწყენენ.

„ეროვნულ ფერებში მოთამაშეთა ასპარეზობა ძალიან კარგი აზრია, ჩოგბურთს ხომ მეტად დამაბნეველი იმიჯი აქვს, თუმცა აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება“ — მიაჩნია ITF-ის პრეზიდენტ ფრანჩესკო რიჩი ბიტის.

სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშეებს, როგორც წესი, პირადი სპონსორები ჰყავთ და ამა თუ იმ ფირმის სამოსის ტარებას კონტრაქტები ავალდებულებთ. დაახლოებით მსგავსი მიზეზით იყო, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გუსტავო კუერტენი ლამის სიდნეის ოლიმპიადის მიღმა რომ დარჩა — ბრაზილიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და გუგას ფირმა „დიადორამ“ მხოლოდ ბოლო წუთს მიაღწიეს კომპრომისს.

ITF გამოსავალს იმაში ხედავს, რომ მომავალში ეროვნული ნაკრებების მაისურათა დიზაინი სპორტული აღკაზმულობის გიგანტებთან — „ნაიკთან“, „რიბოკთან“ „ადიდასთან“ და მისთანებთან შეათანხმონ.

„ფეხბურთში ძალიან იოლია მიხვდე, ვინ ვინ არის, ჩოგბურთში კი მეტოქეთა გუნდების წარმომადგენლებს ხშირად ერთნაირი მაისურები აცვიათ — ამბობს ITF-ის ვიცეპრეზიდენტი ხუან მარგეტსი — ჩვენ შეიძლება გარკვეული წესები შემოვიღოთ, რათა ტანსაცმელზე ეროვნული დროშა ან სიმბოლოები იყოს გამოსახული, ოღონდ მათზე ფირმების ნიშნებიც უნდა დარჩეს“.

რას შეჰპატებს დევისისა და ფედერაციის თასებს მსგავსი კოსმეტიკური ცვლილება, დრო გვიჩვენებს.

ბრჭყალებით თვალებში

მარტინა ჰინგისისა და ანა კურნიკოვას დროებითი შეწყვეტილება ამ რამდენიმე დღის წინ გრანდიოზული სკანდალით დასრულდა — ჩოგბურთის სუპერვარსკვლავებმა ყველას თვალწინ იკამათეს და გულიანად გამოლანძღეს ერთმანეთი.

19 წლის რუსი და 20 წლის შვეიცარიელი ერთად ჯერ კიდევ შარშან ასპარეზობდნენ და შესამჩნევი წარმატებითაც — მათ ავსტრალიის ღია პირველობა და მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს, როლან გაროსზე კი ფინალისტები იყვნენ. სეზონის დასაწყისში ჰინგისის დედის, მელანი მოლიტორის მოთხოვნით, კურნიკოვა ჩემს შვილზე ცუდ გავლენას ახდენსო, დუეტი დაშალა, მარტინამ კი ახალი მეწყვილე მარი პირსი გამონახა.

მაგრამ სექტემბერში ფრანგმა ლამაზმანმა სერიოზული ტრავმა რომ მიიღო, ჰინგისმაც ისევ კურნიკოვა მოძებნა. წყვილმა შემოდგომაზე ხუთიდან ოთხ ტურნირზე იმარჯვა ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩათვლით, თუმცა იდილია დიდხანს არც ამჯერად გაგრძელებულა.

საჩოგბურთო სეზონის დასრულების შემდეგ რუსი და შვეიცარიელი სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრნენ საჩვენებელი მატჩების გასამართად. ბრაზილიაში ყველაფერმა კარგად ჩაიარა, აი, ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში კი მეხი გავარდა.

მატჩის პირველი სეტის დროს ჰინგისს მთავარი მსაჯის ერთი გადაწყვეტილება არ მოეწონა და ხანგრძლივი კამათი წამოიწყო. კურნიკოვას მაშინ არაფერი უთქვამს, მაგრამ გეიმებს შორის შესვენებაზე სიტყვათა გაცვლა-გამოცვლა ხმამაღალ კამათში გადაიზარდა.

მატჩი 6:4, 6:4 დასრულდა რუსის გამარჯვებით, რომელიც, თუ ჩილელ ჟურნალისტებს ვენდობით, თითქმის მთელი მეორე სეტის მანძილზე კორტზევე ცრემლებს აღვარღვარებდა. თამაშის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალმა ჩოგბურთელებმა ერთხელაც გაპკრეს ბრჭყალები ერთურთს, თანაც ამჯერად თურმე ერთმანეთისთვის რაღაც-რაღაცეებიც უსვრიათ.

ჰინგისი მეორე დღესვე შინ გაფრინდა, კურნიკოვა კი სამხრეთ ამერიკაში ცოტა ხანს კიდევ დარჩა და მსოფლიოს პირველი ჩოგნის ნაცვლად დარჩენილ მატჩში კოლუმბიელ ფაბიოლა ზულუაგას შეხვდა. ახალი მეწყვილის ძიებას, ალბათ, ორივენი მალე დაიწყებენ.

ავთანდილ სვანიძე

ანა კურნიკოვა და მარტინა ჰინგისი: აღარც დობა, აღარც შენდობა

ჩვეულებრივი ამბავი: გუნდური მუშტი-კრივი ამჯერად სან ხოსესა და რეინჯერსის შესრულებით

უნდა გეშინოდეთ!

12 დეკემბერი

ბოსტონი — ბუფალო 0:3

0:0 0:1 0:2

0:1 დიუმონი 23'25 (11); 0:2 დიუმონი 42'07 (12); 0:3 დიუმონი 59'57 (13)

ნეშვილი — ფილადელფია 2:2

0:1 1:0 1:1 0:0

0:1 ფედორიუკი 5'32 (2); 1:1 უოკერი 39'28 (7); 1:2 პრიმო 47'27 (10); 2:2 ბოულდერი 48'06 (2)

აილენდერსი — ვაშინგტონი 2:3

0:0 2:2 0:1

1:0 ჩერკავსკი 23'35 (7); 1:1 ხრისტიჩი 36'28 (4); 1:2 ბლექი 37'35 (1); 2:2 სკაჩარდი 39'05 (7); 2:3 საიმონი 44'39 (5)

სან ხოსე — რეინჯერსი 3:2

1:0 0:1 2:1

1:0 ნოლანი 1'12 (8); 1:1 მაკარტი 23'12 (2); 2:1 რაგნარსონი 42'29 (3); 3:1 მარლო 46'42 (14); 3:2 მესიე 59'27 (14)

ლიგის გუნდების უმეტესობისთვის 30 მატჩში 31 ქულა ურგოდ არ ჩაითვლებოდა, მაგრამ არამც და არამც — ფილადელფიის გენერალურ მენეჯერ ბობი კლარკისთვის. იგი ერთობ უკმაყოფილოა თავისი კლუბით და ეს მაშინ, როცა „მფრინავებს“ პრობლემები არ ელევათ. ერიკ ლინდროსის გაუთავებელ ბუტიაობას (მისი გადაბირება ტორონტოს გარდა რეინჯერსსა და ლოს ანჯელესს სურთ) წამყვან მოთამეშთა ტრავმებიც დაემატა. მარტო ჯონ ლეკლერი წლეულს უკვე მეორედ დაშავდა. მაგრამ კლარკი თავისას მაინც არ იშლის და აცხადებს: „ისეთ გუნდად ვიქეცით, რომლისაც უკვე აღარავის ეშინია. ეს დაუშვებელია“. ბობი ამას რომ ამბობდა, უკვე იცოდა, არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო ვის უნდა ეგო პასუხი — ფილადელფიის მწვრთნელი კრეიგ რამსეი წინა კვირის ბოლოს თანამდებობიდან გათავისუფლდა. არადა, მისი ხელმძღვანელობით ხომ შარშან „მფრინავებმა“ ბევრად გაუუჯობესეს თამაში და თასის ნახევარფინალამდე მიაღწიეს. ახლა კი რამსეის ბილ ბარბერი შეცვლის. წარსულში „მფრინავთა“ ერთ-ერთი გამოჩენილი მოთამაშე აგრესიულ ჰოკეის მქადაგებელია, რასაც გუნდის წევრთა უმეტესობაც უჭერს მხარს. ცხადია, ჯერ არავინ იცის, თუ როგორ იმოქმედებს ფილადელფიაზე მწვრთნელის შეცვლა, ერთი კი ფაქტია — ბარბერის ხელმძღვანელობით ჩატარებული ორი მატჩიდან „მფრინავებმა“ ერთი მოიგეს (5:2 აილენდერსთან), გუშინ კი ნეშვილს დაუზავდნენ. ახალმა თავკაცმა უმალ დააყენა შემადგენლობაში ძალისმიერი ფორვარდი კევინ სტივენსი, რომელიც რამსეის დროს თადარიგში იყო და მან ორ შეხვედრაში 4(1+3) ქულა მიითვალა. ხოლო ამ ამპლუის კიდევ ერთმა თავდამსხმელმა, კეიტ პრიმომ 3 გოლი გაიტანა.

ბოსტონში სამჯერ ხელმოცარულმა ბუფალომ (არც ერთი გოლი), როგორც იქნა, ჯავრი იყარა მეტოქეზე. ამჯერად მასპინძელთა ფორვარდებს არ გაუმართლათ, მათ შორის საშონოვ — ელისონ — გერინის (11+13 ბოლო 4 მატჩში) ჩინებულ სამეულს. დომინიკ ჰაშეკმა ყველა, 22 დარტყმა მოიგერია (კარიერაში 48-ე შათაუტი), „დათვების“ კარში კი სამივე შაიბა ახალგაზრდა თავდამსხმელმა ჟან-პიერ დუმონმა შეაგდო. ასეთი რამ წლეულს უკვე მეორედ ხდება (პირველად ეს ჯერ ტორონტელმა რაიან სმიტმა გააკეთა), ხოლო ლიგის ისტორიაში — მეთერთმეტედ.

დმიტრი ხრისტიჩმა თავისი მეორე მოსვლა ვაშინგტონში გოლითა და ასისთ აღნიშნა, რისი წყალობითაც გუნდმა სეზონში პირველად ქულათა 50-პროცენტიან ზღვარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ უკრაინელმა ჰოკეისტმა კარიერა სწორედ დედაქალაქში დაიწყო, სადაც წლების განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, შემდეგ უეღბლოდ მოიარა ბოსტონი და ტორონტო და საბოლოოდ კვლავ მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა.

სამველ ლარიბიანი

კვირის მოთამაშე



მარკ დენი (კოლუმბუსი)

ლიგის დებიუტანტის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი კარგი მეკარეა. ეგრეთ წოდებული გაფართოების დრაფტის სტრუქტურა საშუალებას არ აძლევს დებიუტანტებს, ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტდნენ, ამიტომაც ამ გუნდების დაცვასა და განსაკუთრებით მეკარეს მეტი მოეთხოვება. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოლუმბუსის მესვეურები არ შეცდნენ, როცა მარკ დენი აირჩიეს. იგი მართლაც საიმედო და რაც მთავარია, სტაბილურ მეკარედ ჩამოყალიბდა, თანაც პერსპექტიულია (იგი ხომ 22 წლისაა). სწორედ მისი დამსახურებაა, რომ გასულ კვირას კოლუმბუსმა თავის ისტორიაში თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც რეკორდი დაამყარა და ზედიზედ სამი წაუგებელი თამაში ჩაატარა. თანაც სამივე თამაშში „ცისფერი ჟაკეტები“ მეტწილად საკუთარი კარის დაცვაზე ფიქრობდნენ და რომ არა დენის ოსტატობა, ამდენ ქულას ნამდვილად ვერ მოიხვეჭდნენ. თავიდან მარკმა ანაჰაიმთან 36 დარტყმა მოიგერია და გუნდს 5:2 მოაგებინა, შემდეგ 26 დარტყმა აუღო ბოსტონის ფორვარდებს (3:2), საუკეთესო გამოსვლა კი ბოლოსთვის მოიტოვა და 39 დარტყმის მგეგრიებით თავად განაპირობა ფრე (1:1) ფინიქსთან. სწორედ ამ თამაშში გადაიხარა საბოლოოდ სასწორი დენის სასარგებლოდ. მან ატლანტაში ბოლო ხანს ბრწყინვალედ მოასპარეზე დონალდ ოდეტის და რემ ფერაროს წყვილს აჯობა.

საუკეთესო ექვსეული. 4-10 დეკემბერი

მარკ დენი (კოლუმბუსი, 1); ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი, 3) — ედ ჟოვანოვსკი (ვანკუვერი, 2); დონალდ ოდეტი (ატლანტა, 2) — რემ ფერარო (ატლანტა, 1) — ჯეისონ ელისონი (ბოსტონი, 2)

თორთლაძე მაკალუს მინერალური წყლების წყალობით შეუტევს

დედამიწის სიმაღლით მეოთხე მწვერვალი მაკალუ (8485) ზამთარში დაულაშქრავი ერთადერთი რვაათასიანია ჰიმალაებში. თუმცა მალე შეიძლება ისიც დანებდეს მთამსვლელებს — 26 ნოემბრიდან მის ფერდობებს 11-კაციანი ინტერნაციონალური ექსპედიცია შეესია. მას ყველა რვაათასიანის დამპყრობი, 50 წლის პოლონელი ელექტრონიკინერი კშიშტოფ ვიელიცკი ხელმძღვანელობს. ჯგუფში ერთი ქალიცაა — ასევე პოლონელი მონიკა რიგოზინსკა, რომელიც პრესცენტრის უფროსი გახლავთ.

საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის წყალობითა და სპონსორობით მთამსვლელთა ამ საერთაშორისო კომპანიას ჩვენებური გია თორთლაძეც შეუერთდა და თუ ღმერთმა ექსპედიციის წარმატებით დასრულება ინება, ამ ისტორიული ასვლის პატივი მასაც ერგება. გუშინ თორთლაძე დაუკავშირდა თავის სპონსორებს, რომელთა თავაზიანი ნებართვით მასთან გასაუბრების საშუალება ჩვენც მოგვეცა.

— ამჟამად 4900 მეტრზე მდებარე საბაზო ბანაკიდან გირეკავთ, — გვითხრა მან — სამკაციანი ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს ახალი ბანაკის მოსაწყობად. სათანადო მარშრუტიც დამუშავებულია და ხვალ გზასაც გავუდგებით. ყარყორუმის მთიანეთში კიდევ დარჩა ზამთარში დაულაშქრავი რვაათასიანები, ჰიმალაებში კი ასეთი მხოლოდ მაკალუა. იმედია, მასაც დავიპყრობთ. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად, გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. მწვერვალზე როდის ვიქნებით, ამას მიახლოებითაც ვერავინ იტყვის, რადგან ეს ამინდზეა დამოკიდებული. ამ დღეებში დარია, თუმცა ღამ-დამობით ძალიან ცივა — ყინვა 40 გრადუსს აღწევს. ალბათ, უახლოესი დღეებიც ისეთივე წარმატებით ჩაივლის, როგორც აქამდე.

ირაკლი თავაძე

კრისტინ არონი ამერიკაში საფრანგეთისთვის იგარჯიშებს

არონი პერეკის გაკვალულ გზაზე

ფრანგმა სპრინტერმა და ევროპის რეკორდსუმენმა (100 მეტრზე) კრისტინ არონმა ორშაბათს განაცხადა, რომ 2001 წლის დასაწყისიდანვე ლოს ანჯელესს მიაშურებს და ჯონ სმიტთან განაგრძობს წვრთნას.

„საჭირო იყო, რაღაც შემეცვალა, რათა ახლიდან განმეცადა პროგრესი“ — ასე ახსნა თავისი არჩევანი 27 წლის მძლეოსანმა ქალმა პრესკონფერენციაზე. ბელად გაემტყუნება, რადგან 1998 წლიდან მოყოლებული, როცა მან ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა და ბებერი კონტინენტის რეკორდიც დაამყარა სპრინტში (10,73 წმ), არონს ღირსშესანიშნავი წარმატებებისთვის აღარ მიუღწევია.

„კრისტინ არონმა ძალიან კარგი და აბსოლუტურად გამართლებული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციასთან შეთანხმდა. მან ფრანგული მზადების სისტემა ამოწურა და წინ რომ წაწულიყო, სხვა ტიპის ვარჯიშები სჭირდებოდა“ — განაცხადა საფრანგეთის მძლეოსნობის ტექნიკურმა დირექტორმა რიშარ დეკუმ.

ჟაკ პიაზენტას აწ უკვე ყოფილმა შეგირდმა ახალი მწვრთნელის არჩევას საკმაო დრო მოანდომა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე იგი ოთხ ადამიანს (ნორბერტ ელიოტი, დენ პფაფი, ლორენ სიგრეივი და ჯონ სმიტი) შეხვდა. „ჩემი არჩევანი ბევრი მიზეზის გამო ჯონ სმიტზე შევაჩერე. ჯერ ერთი, მასთან მოვარჯიშე სპორტსმენები მშვენიერ შედეგებს აღწევენ, თანაც აქ ინფრასტრუქტურა უმაღლეს დონეზეა, დაბოლოს, მწვრთნელი და საერთოდ ყველა ჩემი სვლით ძალიან კმაყოფილი და გახარებულია“ — ახსნა არონმა.

თუ ჯერ კიდევ არაა დაზუსტებული გვადალუპელის სმიტთან მუშაობის ყველა დეტალი, სამაგიეროდ, ის უკვე გადაწყვეტილია, რომ არონი იანვრის დასაწყისში გადავა საცხოვრებლად ლოს ანჯელესში.

„სერიოზულად ვარჯიშს შობა-ახალი წლის შემდეგ შევუდგები. იმის გათვალისწინებით, რომ ვარჯიშის ახალი სისტემის მიჩვევას გარკვეული დრო დასჭირდება, ვფიქრობ, ჭერქვეშ გაზაფხულზე ძლიერად ვერ გამოვალ. შემდეგ მაისიდან საფრანგეთში დავბრუნდები და ღია ცის ქვეშ გასამართ ტურნირებზე უკეთესი შედეგების ჩვენებას ვგეგმავ. საერთოდ კი მომავალ სეზონში ჩემი მთავარი მიზანი ედმონტონის შოფლიოს ჩემპიონატზე კარგად გამოსვლაა“ — თქვა კრისტინ არონმა.

ევროპის ორგზის ჩემპიონს (100 მ, 4X100 მ) ჯონ სმიტთან თანამშრომლობის დიდი იმედი მაქვს და 2004 წლის ოლიმპიადაზე წარმატების მიღწევაც განუზრახავს. შეგახსენებთ, რომ წლეულს სიდნეიში არონი ნახევარფინალში გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლას. თანაც მომავალში ფრანგ მძლეოსანს 200-მეტრიან დისტანციაზეც სურს გამოსვლა.

„რა თქმა უნდა, თავიდან ბრწყინვალე შედეგები არ მექნება, მაგრამ მერე იქნებ 200 მეტრზეც მივაღწიო წარმატებებს. ყოველ შემთხვევაში, მე ამისთვის ძალებს არ დავზოგავ“ — ესეც არონის სიტყვებია.

რაც შეეხება ეჭვს, რომ ჯონ სმიტის შეგირდები დოპინგთან ძალიან არიან გაშინაურებულები და დოპინგ-კონტროლის ჩაფლავებას ჯერჯერობით რაღაც მანქანებით იცილებენ თავიდან, ფრანგმა სპორტსმენმა თქვა: „ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვიცი. როცა იქ ჩავალ, საკითხში უკეთ გავერკვევი. თუმც დოპინგისადმი ჩემი მიდგომა არანაირად არ შეიცვლება. მე კვლავაც ამ სენის წინააღმდეგ ვიბრძოლებ და შემოწმებებსაც მუდმივად გავივლი.“

ჰო, მართლა. ეგებ ვინმემ არ იცის, ვინაა ჯონ სმიტი. მათ ვეტყვი, რომ ამ კაცს მძლეოსნობის სამყაროში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის სახელი აქვს. მისი შეგირდები არიან, მორის გრინი, ატო ბოლდონი, ინგე მილერი... არონი კი მისთვის მეორე ფრანგი გასაწვრთნელი იქნება — სმიტი რამდენიმე წლის მანძილზე „ქურციკად“ წოდებულ მარი-ჟო პერეკთან მუშაობდა და ამ ქალს ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვებაშიც დიდად შეუწყო ხელი.

გაიოზ თალაკვაძე

ბუქარესტი სევასტოპოლი არ არის

თუმც რუსეთ-უკრაინის ინტერესები იქაც გადაიკვეთება

რუმინეთში მიმდინარე ხელბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატზე ვადამდე გაირკვა ორი ნახევარფინალისტის ვინაობა.

„A“ ჯგუფიდან გამსვლელთა საკითხი ბოლოსწინა, მეოთხე ტურში გადაწყდა. წაუგებლად მოასპარეზე რუსეთის ნაკრებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო დამაჯერებლად, ამჯერად გერმანიასთან და ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტად რჩება. გამარჯვებულთაგან კვლავ მთავარი ბომბარდირი, ვოლგოგრადელი ვოლკოვა გამოირჩა — მისი ხუთი ტყორცნა მიზანს მოხვდა. გერმანელთა შორის საუკეთესომ, ლიტვური წარმოშობის რაძევიჩუტემაც ხუთი გოლი გაიტანა. პირველი ზღუდე წარმატებით დაძლიეს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა უნგრელებმაც — ნახევარფინალის საგზურის მოცილე საფრანგეთის დამარცხებით ისინიც უკვე უძლიერესთა ოთხეულში არიან.

სამაგიეროდ, მეორე ჯგუფში ისევ ბუნდოვანი ვითარებაა. უკრაინელთა ძლევის შემთხვევაში მასპინძელ რუმინელებსაც ნაადრევად შეეძლოთ მიზნის მიღწევა, მაგრამ ტაიმის ორი ბურთით მოგების (12:10) შემდეგ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და იმავე სხვაობით დამარცხდნენ. მათი გოლეადორი ლუკა რვაჯერ კი გამოირჩა, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ჯგუფის ლიდერს, წაუგებელ უკრაინასაც კი ჯერ არ გაუნაღდებია შემდგომ ეტაპზე გასვლა. ყველაფერი დასკვნით ტურში გაცხადდება — სამივე შეხვედრა გადამწყვეტია. წინა პირველობის გამარჯვებულ ნორვეგიასაც არ დაუკარგავს ტიტულის შენარჩუნების შანსი — ოლიმპიურ ჩემპიონ მეზობელთა გამწარების შემდეგ თუ მაკედონიელებსაც მოინელებენ, იქნებ ჯგუფიდან გაღწევაც მოახერხონ. სიდნეის გმირ დანიელებს კი ბოლო მატჩში მასპინძლებთან მოგებაც ვეღარ უშველის და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა.

გია ახალაძე

A ჯგუფი

რუსეთი 22:18 გერმანია

უნგრეთი 32:29 საფრანგეთი

იუგოსლავია 33:24 ავსტრია

რუსეთი	4	0	0	99:78	12
უნგრეთი	3	1	0	133:96	11
საფრანგეთი	2	0	2	101:92	8
იუგოსლავია	1	1	2	105:110	7
გერმანია	1	0	3	89:100	6
ავსტრია	0	0	4	75:126	4

B ჯგუფი

უკრაინა 23:21 რუმინეთი

ნორვეგია 29:22 დანია

ბელარუსი 27:27 მაკედონია

უკრაინა	2	2	0	103:93	10
რუმინეთი	2	1	1	95:92	9
ნორვეგია	1	2	1	101:98	8
მაკედონია	1	2	1	85:92	8
დანია	1	1	2	104:104	7
ბელარუსი	0	2	2	107:116	6

ოქროზე ტკბილი

მსოფლიოს თასის რიგით მეორე სლალომის ეტაპი იტალიური სესტრიერში უამრავი ფავორიტის ყინულზე გაგორებითა და ნორვეგიელი ჰანს-პეტერ ბურასის ტრიუმფით დასრულდა.

ჯოვანი ანიელის სახელობის მოლიპული და ვერაგი ტრასა დღისითაც ნაკლებად სასიამოვნო ჩამოსაქროლია, ღამის ყინვასა და ხელოვნურ განათებაში — მით უმეტეს. ამას ფრანგი სებასტიან ამიე, ავსტრიელები — მარიო მატი და ბენჯამინ რაიხიც დაგიდასტურებენ. ესენი პირველი ცდის შემდეგ მომავალ გამარჯვებულზე წინ იმყოფებოდნენ, მაგრამ მეორეზე ფინიშის ხაზსაც ვეღარ უწიეს.

კიდევ ერთმა ავსტრიელმა, პირველი ეტაპის მომგებმა ჰაინც შილხეგერმა ბურასზე თითქმის ნახევარი წამით უკეთესი დრო უჩვენა, მაგრამ მსაჯებმა ერთ-ერთი კარის გამოტოვებაში დაადანაშაულეს და პოდიუმის პირველ ადგილზე წამოჭიმვის ნაცვლად 600-დოლარიანი ჯარიმით „დასაჩუქრეს“, დროზე რად არ შეჩერდიო.

„ცოტათი დამწუხრებული ვარ, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ვემორჩილები. დარწმუნებული არ ვიყავი, წესები დავარღვიე თუ არა, ამიტომაც გავაგრძელე თხილამურობა“ — თავი იმართლა ავსტრიელმა.

ასე მოიგო 1998 წლის ნაგანოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბურასმა კარიერაში პირველი მსოფლიოს თასის ეტაპი საერთო შედეგით 1:52,75.

„უკვე იმითაც ბედნიერი ვიყავი, რომ პოდიუმზე მოვხვდებოდი, თითქმის ორი წელია, ეს ვერ მომეხერხებინა. გარკვეულწილად, ეს მოგება ოლიმპიურ ოქროზე მეტად გამიხარდა. ამისთვის იმდენი ვიწვალე და ვიშრომე, ის კი თითქოს ერთობ იოლად მერგო“ — განაცხადა მოგვიანებით ნორვეგიელმა.

ავსტრიელები უჩინმეძლებოდ მაინც არ დარჩენილან. მეორე ადგილზე შედეგით 1:53,04 კილიან ალბრეხტი გავიდა, რომლისთვისაც შარშან ქვეყნის ნაკრებში ადგილი არ მოიძებნა და საკუთარი ხარჯებით უხდებოდა აღმადაღმა ხეტიალი.

კიდევ უფრო მოულოდნელი იყო პერეკ ბურჟუას პოდიუმზე აღმოჩენა. ფრანგი პირველი ცდის შემდეგ მხოლოდ 21-ე ადგილზე იყო, მაგრამ წინმავალთა ხიფათიანი თავგადასავლებისა და საკუთარი მარიფათის წყალობით საბოლოოდ მესამეზე გადაბარგდა.

სესტრიერის სლალომი იაპონური სამთოსათხილამურო სპორტის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერება — პირველად მოხდა, რომ ამ ქვეყნის წარგზავნილებმა მსოფლიოს თასის ეტაპზე საუკეთესოთა ათეულში წყვილად მოახერხეს დამკვიდრება. საამაყო მამულიშვილები არიან — კიმინუბო კიმურა (მე-4) და კენტარო მინაგავა (მე-6).

დავით ხარზიანი

მსოფლიოს თასი

სესტრიერი. იტალია. სლალომი

1. ჰანს-პეტერ ბურასი (ნორვეგია) 1:52,75წთ
2. კილიან ალბრეხტი (ავსტრია) 1:53,04
3. პერეკ ბურჟუა (საფრანგეთი) 1:53,99

სლალომის საერთო ჩათვლა

1. ბურასი 150 ქულა
2. ჰანც შილხეგერი (ავსტრია) 100
3. კეტილ ამოდტი (ნორვეგია) 96

საერთო ჩათვლა

1. პერმან მაიერი (ავსტრია) 616
2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 409
3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 409

ჰანს-პეტერ ბურასი

18-22 დეკემბერს საქართველოს ბოულინგის ფედერაცია,
სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით თბილისის ბოულინგ
ცენტრში პირველად ატარებს
საქართველოს ღია ჩემპიონატს
მონაწილეთა რეგისტრაცია 16 დეკემბრამდე

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჯანო ბაგრატიონმა ოლიმპიური ტახტი შეინარჩუნა

ვიდრე დარბაზში შეკრებილი 184 დელეგატი საქმიანობას შეუდგებოდა, ტრადიციულად წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას, ვისაც ლომის წილი დაუდია ქართულ ოლიმპიურ მოძრაობაში, მერე კი ერთგვარი დაჯილდოების ცერემონიის მონაწილენი შევიქენით. კერძოდ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციამ ორდენით დაუფასა მოღვაწეობა ჩვენს სასიქადულო მოჭადრაკეს, სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტს ნონა გაფრინდაშვილს. მას ორდენი რობერტ შავლაყაძემ გადასცა, სეოკ-მა კი კიდევ ერთხელ დაუფასა გარჯა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ქართველ მედალისტებს და საკუთარი ორდენებით დაუმშვენა მკერდი. ასეთივე ორდენი ერგო საბერძნეთიდან ჩამოსულ სახელოვან ძალოსანს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს კახი კახიაშვილს, რომელსაც ხუმრობით შეახსენეს, ჯილდო ბარსელონის ოლიმპიადის მოგებისთვის გხვდა წილადო. კახიაშვილის გამოჩენას „შერატონში" არავინ ელოდა, ამიტომაც იყო, ჟურნალისტ-დელეგატთა უმრავლესობა ფოიეში გარს რომ შემოეხვია და კითხვები დააყარა. კახისგან შევიტყვეთ: იგი დღეს ძალოსნობის ფედერაციის ყრილობას დაესწრება, მერე რამდენიმე დღით შშობლიურ ცხინვალს ესტუმრება და იქიდან თბილისში დაბრუნებული გიორგი ასანიძესთან ერთად ბერძენთა დელეგაციას უმასპინძლებს.

დელეგატებს არც მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის საქმიანობის აღნიშვნა დავიწყნიათ, რომლის ნამუშევარმა „ბეისბოლისტი", სოკ-ის მოწყობილ კონკურსში „სპორტი და ხელოვნება" მეორე ადგილი დაიმსახურა. ამ კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე კი თავად სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ბრძანდებოდა. „ბეისბოლისტი" კი ბინას საბოლოოდ ლოზანაში, სოკ-ის შტაბ-ბინაში დაიდებს. ლევან ვარდოსანიძე სამადლობელი სიტყვის მერე დელეგატებს დაპირდა: თბილისში, ოლიმპიურ ჩემპიონთა სკვერის მხატვრულად გაფორმება-გალამაზება ჩემზე იყოსო.

ეს იყო და, ახლა საქმეს მივხედოთო, ბრძანა ომარ გოგიაშვილმა და სამანდატო (5 დელეგატი), სარედაქციო (5) და ხმის დამთვლელი კომისიების (7) ერთხმად დამტკიცებასაც არ წაუღია ბევრი დრო.

ჯერი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მიდგა.

1. 2000 წელს სეოკ-ის აღმასკომის მიერ ჩატარებული ანგარიში (ჯ. ბაგრატიონი)

2. საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლის შედეგები ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე (თ.იმნაიშვილი)

ბადრი ჯიმლაძის ფოტო

სეოკ-ის ახლადარჩეულ პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს არჩევნებში გამარჯვება დამარცხებულმა ლევან თედიაშვილმა მიულოცა

3. სარევიზიო კომისიის ანგარიში (ა. აბესაძე)

4. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად ოლიმპიური ქარტიის ახალი რედაქციის საფუძველზე ცვლილებების შეტანა სეოკ-ის წესდებაში

5. არჩევნები:

ა) სეოკ-ის პრეზიდენტისა და აღმასკომის წევრების

ბ) სარევიზიო კომისიის (აუდიტორული ჯგუფის)

დღის წესრიგიც ერთხმად დამტკიცდა და მომხსენებლებიც რიგ-რიგობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ვერ მოგატყუებთ, დელეგატთა უმრავლესობა მოხსენებებს გულისყურით უსმენდაო, თუმცა „დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების" შეფასებაში რომ ერთსულოვანნი იყვნენ, ეს კი ფაქტია. სესიამ „სეოკ-ის აღმასკომის მიერ 2000 წელს ჩატარებული მუშაობა" დამაკმაყოფილებლად შეაფასა, ხოლო „ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლა წარმატებულად".

ასე ერთსულოვნად მიმდინარე სესია დღის მთავარ თემას, სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევნებს მიადგა, ჰოდა, მაშინ დაიწყო ის, ზემოთ საინტერესო და სალაღობო ამბები რომ ვუწოდეთ. სეოკ-ის პრეზიდენტობის მსურველ ოთხ კანდიტატთაგან ორმა, არჩილ გოგელიამ და ბეჟან ხურციძემ არჩევნებში მონაწილეობა აღარ ისურვეს, ორივეს ჯანო ბაგრატიონის ავტორიტეტმა და ოლიმპიურ მოძრაობაში მისმა ღვაწლმა გადააფარა. ასეთია სიტყვა, ტრადიციონალისტმა ხურციძემ დელეგატებს ისიც განუცხადა: ბაგრატიონთა გვარის პატივისმცემელი ვარ და ერთ-ერთი მიზეზი ჩემი უარისა ესეც არისო. არჩილ გოგელიას სახელით კი ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა იური ოსიპოვმა აუწყა საზოგადოებას გოგელიას გადაწყვეტილება. დარჩა ორი კანდიდატი. სეოკ-ის აღმასკომის რჩეული ჯანო ბაგრატიონი და სეოკ-ის მუდმივი წევრი, ხუთგზის მსოფლიოსა და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი.

ერთი პირობა ბატონ ლევანსაც გადაუფიქრებია არჩევნებში მონაწილეობა, ბაგრატიონს პრეზიდენტობას არ შევეცილებიო, მაგრამ ქართული სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შეუგულიანებიათ და დაყაბულებულა. თავის სიტყვაში თედიაშვილმა ისიც თქვა: ნაღდი არჩევნები ჩავატაროთ, მოგება-წაგება ძმები არიან, თუ დავმარცხდი, ეგ არაფერი, მაინც თქვენთან მიგულეთ, სარდლობაც შემიძლია და ჯარისკაცობაც. ახლა კი ჩემს ნდობით აღჭურვილ პირს, მაყვალა ბერიანიძეს მოუსმინეთო.

და ტრიბუნაზე გავიდა ქალი, ქალი და მერე რა ქალი!

აქადმე ერთ ხმაში მოლაპარაკე კაცები ლამის წაკიდა ერთმანეთს. ჩაქვალა, რომელსაც თავის თანამოკამეთეებთან ერთად ორი დღის ძაძილზე სეოკ-ის ოფისში ქალალდებში თავი ჩაურგავს და რალაც-რალაცები ამოუქექია. აქედან მთავარი კი ის გახლდათ, რომ თურმე ბეჟან ხურციძეს დებულებით უფლება არ ქონდა პრეზიდენტობის კანდიდატობისა, ხოლო ჯანო ბაგრატიონს განცხადება არ დაუწერია და სეოკ-ის მეთაურის საკარძელზე არც უნდა იოცნებოსო.

ოლიმპიური ქარტიით შეიარაღებულმა ბერიანიძემ სხვაც ბევრი რამ თქვა ისეთი, კაცები რომ საბოლოოდ ააღელვა და „ააყაყანა". ვითარების განმუხტვა ისევ ქალმა, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა რუსუდან სიხარულიძემ ითავა, მაგრამ ამაოდ.

მერე კი ოლიმპიური ქარტია სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმაც მოიმარჯვა და თედიაშვილის ნდობით აღჭურვილ პირებს მისხალ-მისხალ განუმარტა ყველაფერი. არეულ საქმეს ამანაც რომ ვერ უშველა, გაისმა „ნაღდი ქართული სიტყვა" — ოჯახში უფროსი კაცია, კაცების საქმეში ქალი არ უნდა ჩაერიოსო და მისთანები. ერთი სიტყვით, კამათსა და ურთიერთბრალდებებს დელეგატებმა კენჭისყრა არჩიეს და ბურთი და მოედანი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ომარ ღონღაძეს დაუთმეს.

კენჭისყამ ერთ საათს გასტანა და ომარ ღონღაძემ მისი შედეგებიც გაცხადა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 170 დელეგატმა. 4 ბიულეტენი კომისიის წევრებმა ბათილად ცნეს. 166-დან 129 ხმისანმა პრეზიდენტად ჯანო ბაგრატიონი ისურვა, ლევან თედიაშვილი მხოლოდ 37-მა. ბაგრატიონს ტახტის შენარჩუნება ტაშის გრიალში მიულოცეს.

ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა სესიას სეოკ-ის აღმასკომის შემადგენლობის 18-დან 21-მდე გაზრდა სთხოვა ოღონდ ერთი პირობით, ერთ წევრს მერე, აღმასკომზე დავამტკიცებთო. ოთხის ნაცვლად ხუთი ვიცე-პრეზიდენტის დახმარებაც ითხოვა, რაზეც დელეგატთაგან დასტური მიიღო და მისმიერ წარმოდგენილი კანდიდატებიც არავის დაუწუნია.

არდაწუნებულ და გუშინ დამტკიცებულ ვიცე-პრეზიდენტებს და აღმასკომის წევრებს აქვე გაეცანით:

საპატიო პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი; ვიცე-პრეზიდენტები** მარუბა ზაზარაძე, ლერი ხაბელოვი, გოგი თოფაძე, **რუსუდან სიხარულიძე**, თამაზ იმნაიშვილი; **გენერალური მდივანი** ემზარ ზენაიშვილი; **ომარ გოგიაშვილი, გიორგი ასანიძე, რობერტ შავლაყაძე, ომარ ღონღაძე, გივი შუღარიანი, ვაჟა შუბლაძე, შოთა ჩოჩიშვილი, ბეჟან ხურციძე, დავით გობეჟიშვილი, ჯულიეტერ კანკავა, რეზო რობაქიძე, რამაზ გოგლიძე, ელგუჯა ბერიშვილი

ბადრი ჯიმლაძის ფოტო

კახი კახიაშვილი და ნონა გაფრინდაშვილი

გიორგი ასანიძე (მარჯვნივ) საარჩევნო ურნასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ „ᲞᲠᲘᲖᲘᲐ“ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

**— ბატონო ჯანო, ოთხი წლის წინათ ჩატარებულ არჩევნებზე თქვენ ისევ აგირჩიეს პრეზიდენტად, რომ კონკურენტი არც გყოლიათ, ახლა კი ორავდაბირველად ოთხი მოცილე გყავდათ, რომელთაგან ბოლოს ორმა

არი თქვა კენჭისყრაზე, მაგრამ ასე იყო თუ ისე, თქვენ ხმათა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეთ. ელოდით ამ წარმატებას?**

— დარწმუნებული ვიყავი, რომ გაიმარჯვებდი, მაგრამ დელეგატები თუ ასეთ ერთსულოვნებას გამოიჩენდნენ, არ მეგონა. სწორედ ერთსულოვნება შეიძლება ვუწოდოთ იმას, როცა 37-ის წინააღმდეგ 129 კაცი დაგიჭერს ხმარს. ასეთი მხარდაჭერა ჩემთვის უდიდესი სტიმულია სამომავლოდ. ერთი კვირის წინათ ინტერვიუში გითხარით, როგორც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები, ამით ჩემი დამოკიდებულება სეოკ-ის პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებთან არ შეიცვლება-მეთქი. ახლაც ვგავეს ვიმეორებ. მესიამოვნა, რომ წარმატება ერთ-ერთმა პირველმა მომილოცა არჩევნებზე ჩემმა მეტოქე ლევან თედიაშვილმა. ისიც გამიხარდა, რომ ესიამ ერთხმად მხარი დაუჭირა სეოკ-ის აღმასკომის წევრებად ჩემს მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს, ვითან ერთადაც კიდევ ოთხი წელიწადი უნდა ვიმუშაო.**

— ესიამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა სეოკ-ის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა. მანამდე პირადად თქვენი წვლილი ოლიმპიურ ურთიერთობებში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი უმაღლესი ჯილდოთი — ოლიმპიური ორდენით დააფასა.

— მართალია, ორი წლის წინათ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი ორდენით მე დამაჯილდოვა, რაც ჩემთვის უდიდესი პატივია, მაგრამ როგორც მაშინ ვთქვი, ეს იყო არა მხოლოდ პირადად ჩემი აღიარება, არამედ ოლიანად საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობისა, მისი აღმასკომისა და საერთოდ საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის მოღვაწეობისა.

— ოთხი წლის წინათ, როცა თქვენ ბოლოგელად აგირჩიეს სეოკ-ის პრეზიდენტად, ბევრი გეგმა გქონდათ. საინტერესოა, ყველა მიზანს მიაღწიეთ?

— კარგად მახსოვს, მაშინ ჟურნალისტებთან საუბარში ვთქვი, რომ უნდა ვცადოთ, რომ საქართველოდან რაც შეიძლება მეტი კაცი მოხვდეს სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში, მათ ხელმძღვანელობაში, აღმასკომებში, კომისიებში, მსაჯთა კომიტეტებში-მეთქი. ოლიმპიური კომიტეტის მცდელობით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხვადასხვა კომისიებში მოხვდნენ ემზარ ზენაიშვილი, თამაზ თევზაძე და რუსუდან ბაციური.

საერთოდ, ასეთი წარმომადგენლობა ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს, მის ავტორიტეტს დიდად წაადგება. ამას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს თუნდაც იმ მხრივ, რომ შეჯიბრებებზე ჩვენს სპორტსმენებს მსაჯები იოლად ვერ დაჩაგრავენ ისევე, როგორც ეს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ორიოდ შემთხვევაში მოხდა. საერთოდ, ამას ადგილი ეცდებიან, თუ საქართველოს წარმომადგენლები საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში დამკვიდრდებიან და ფეხს მტკიცედ მოიკიდებენ.

მაშინ, ოთხი წლის წინათ ვსაუბრობდით იმაზეც, რომ საჭიროა ვეტერანი ოლიმპიელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა-მეთქი. მიხარია, რომ ჩვენი მცდელობის შედეგად სოციალურად დაუცველი თერთმეტი ვეტერანი ოლიმპიელი ერთჯერადი საბიუჯეტო შემოსავლებიდან დაუფინანსებლად ღებულობდა 80-დან 120 დოლარამდე ოლიმპიურ სტიპენდიას.

ახლა ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს პარლამენტს, რათა ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე განიხილონ საკითხი კანონში ცვლილებების, ან ნორმატიული აქტის სახით მიიღონ გადაწყვეტილება ოლიმპიური თუ მსოფლიოს ჩემპიონებისთვის დახმარების თაობაზე. მჯერა, რომ სიდნეიში ჩვენი წარმატებული გამოსვლის ფონზე პარლამენტი ამ თხოვნას გაითვალისწინებს. ოთხი წლის წინათ იმასაც ვამბობდი, რომ უნდა ვიზრუნოთ მოქმედ სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურეობაზე, რაზეც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებამდე არ გვიფიქრია-მეთქი, რაც მაშინდელი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო. ახლა, სასიდნეოდ ეს პრობლემა მოვაგვარეთ, რაც წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა გახლდათ.

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიის შემდეგ, როცა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის ვინაობის დასადგენად კენჭისყრის შედეგები გაცხადდა, ჯანო ბაგრატიონს გრძელი რიგი დაუდგა. ერთ მხარეს გამარჯვების მისალოცად ჩამდგარიყვნენ რიგში, მეორე მხარეს კი მიკროფონ თუ დიქტოფონმომარჯვებული ჟურნალისტები შეჯგუფულიყვნენ. რა თქმა უნდა, იყო ფოტოაპარატების ჩხაკუნი და ბლიცების გამალებული ელვარებაც. როცა ყველაფერი მიწყნარდა და ყველანი წავიდწამოვიდნენ, მშვიდი საუბრის დროს დაგვიდგა, ცხადია, ჯანო ბაგრატიონთან, რომელიც სეოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე ახალი ვადით აირჩიეს, თანაც ხმათა დიდი უპირატესობით.

— ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ბიუჯეტი, ალბათ, ცოტა ბოლოს ამოქაჩეს. ეს ფინანსური სირთულე ამ ორგანიზაციის საქმიანობას ხელს ხომ არ შეუშლიდა?

— ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ბიუჯეტი ბოლოს ამოქაჩეს, ეს ფინანსური სირთულე ამ ორგანიზაციის საქმიანობას ხელს ვერ შეუშლიდა. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ეროვნული ოლიმპიური ბიუროს ფუნქციებს ასრულებს. ეროვნული ოლიმპიური ბიუროს ფუნქციებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

REUTERS შტუტგარტიდან

გასკდა გული

ცოტაც და გულს გაუხეთქავენ ამ კაცს. ფელიქს მაგათი დიდი ფეხბურთელი იყო, ახლა კი არცთუ დიდი გუნდის მწვრთნელია. შტუტგარტის „დაიმლერზე“ იქაური გუნდი მაგათის „აინტრახტს“ 4:1-ს უგებს.

ლორენცო გზაზე

ბარე ოცი წელიწადია, ბელგიელი ლორენცო სტალენსი ფეხბურთს თამაშობს და ჩვენისთანა ქვეყანაშიც კი დაუმახსოვრებიათ ეს არცთუ ბალერონი და ქეთინო მოთამაშე. ბოლოჟამს „ანდერლეხტში“ მობურთალ სტალენსს ახლა ბარგი შეუკრავს. პატარა სტალენსები ალესია და დაფნი მალე ამომავალი მზის ქვეყანაში ივლიან სკოლაში. მამას ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმებია იაპონურ „იოტასთან“.

უხეშობის წინააღმდეგ

უხეშობის წინააღმდეგ, დიახაც, რომ ბევრი საფეხბურთო მოღვაწე გამოდის. თვით რომის პაპმაც კი ორჯერ აღნიშნა, ვირგლა ფეხბურთელებო, გონს მოდითო. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ავი საქმის წინააღმდეგ გერმანიაშიც იღწვიან. იქაურ ფედერაციას პლაკატი დაუკვეთია: „მოედანი უხეშობის გარეშე“. ნაკრების მწვრთნელი რუდი ფიოლერი და ფედერაციის მთავარი მენეჯერი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი კი ამ პლაკატს წარმოგვიდგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ათენიდან

მზადება იწყება

ათენში დიდი მზადება იწყება. 2004 წლის ოლიმპიადამდე ჯერ შორია, მაგრამ ლოზანაში უკვე მიმდინარეობს თათბირები. ათენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის კოხტა თავმჯდომარე ჯინა ანგელოპულოსი თავის მარჯვენა ხელთან, სპიროს კაპრალოსთან ერთად ხლებია ოლიმპიზმის თავკაცებს.

REUTERS ანტვერპენიდან

ჯენტლმენი

რუსული ფეხბურთის წლევანდელ ჯენტლმენად სპარტაკელი ეგორ ტიტოვი გამოცხადდა. ჯენტლმენის იერისა რა ვთქვათ, კეთილი და ხალისიანი ბიჭი კი ყოფილა ეს ეგორი. გოგოშკებიც ეკვრიან და რალა მოაწყენს?



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეკველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge